ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგდა შუშტაკაშილი

საარჩევნო ეთიკური კოდექსების შემუშავების მცდელობები საქართველოში (2018 წ. საპრეზიდენტო და 2020 წ. საპარლამენტო არჩევნები)

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

მალხაზ მაცაბერიძე

პროფესორი

თბილისი

2022

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება საარჩევნო ეთიკური კოდექსების შექმნის მცდელობებს საქართველოში 2018 საპრეზიდენტო და 2020 საპარლამენტო არჩევნების პრაქტიკების ანალიზზე დაყრდნობით. სამართლიანი, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ გამოწვევას წარმოადგენს. პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსების პრაქტიკის დამკვიდრება ხელს უწყობს საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ და დემოკრატიულად წარმართვას, ამასთან ზრდის საზოგადოების ნდობას პოლიტიკური პროცესებისა მიმართ.

ნაშრომი მიზნად ისახავს დაადგინოს რა განაპირობებს პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან პარტიათა ქცევის ეთიკის დოკუმენტის ნორმების დარღვევას, რამდენად ინფორმირებულია ამომრჩეველი კოდექსის შინაარსობრივი მხარის შესახებ და კოდექსის აღსრულების მონიტორინგის რა მექანიზმები არსებობს საქართველოში.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს, რადგან აღნიშნული საკითხის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია 2018 და 2020 წლის ეთიკის კოდექსების ანალიზი, არსებული ანგარიშებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და ამასთან კომპეტენტურ პირებთან სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით რელევანტური ინფორმაციის მიღება.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნა საარჩევნო ეთიკის კოდექსის რამდენიმე პუნქტი, კერძოდ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური დისკრედიტაციის კამპანიები და სიძულვილის ენა. აგრეთვე განხილულია საარჩევნო ეთიკის დოკუმენტების შექმნის მიზეზები, მიზნები, აღსრულების მონიტორინგის მექანიზმების არსებობისა და ეფექტურობის მნიშვნელობა და მსოფლიოში არსებული წარმატებული პრაქტიკა.

ნაშრომი შედგება შესავლის, თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავისა და დასკვნისგან.

Annotation

Efforts to Develop Electoral Code of Ethics in Georgia (2018 Presidental and 2020 Parliamentary Elections)

Shushtakashvili M.

This master thesis is about Attempts to Develop Electoral Codes of Ethics based on an analysis of the practice of the Presidental elections of 2018 and the Parliamentary elections of 2020 in Georgia. Holding fair, democratic and free elections has been one of the most important state issues of Georgia since restoration of independence. Establishing the practice of code of ethics for political parties promotes transparent and democratic conduct of electoral processes, while increasing public trust in political processes.

The aim of this paper is to determine the reasons for the violation of the norms of the ethics document by political parties, to what extent voters are informed about the content of the Code and what are the mechanism for monitoring the implementation of the Code in Georgia.

The paper is based on a qualitative research method, since it is important to study the 2018 and 2020 codes of ethics, to get acquainted with the existing reports and scientific literature and to obtain relevant information through in-depth interviews with competent field experts.

The paper analyzes several provisions of the Electoral Code of Ethics, precisely, the use of administrative resources, political discredition campaigns agains opponents and hate speech. It also discusses the reasons for the creation of electoral ethics documents, their main purpose, importance of the existence and effectiveness of enforcement monitoring mechanisms and successful practices around the world.

The paper consists of an introduction, a review of the literature about the topic, three chapters and a conclusion.

სარჩევი

შესავალი 5

ლიტერატურის მიმოხილვა 14

თავი 1. ეთიკის კოდექსის არსი და მიზნები - ზოგადი მიმოხილვა 20

1.1 ეთიკის კოდექსის არსის და შექმნის მიზნების განსაზღვრა 20

1.2 საარჩევნო ეთიკის კოდექსის შექმნის მიზნები 23

1.3 აღსრულების მექანიზმები, როგორც ეთიკის კოდექსის წარმატებული პრაქტიკების გარანტი 24

თავი 2. 2018 წლის პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსის შემუშავებისა და აღსრულების შესახებ 31

2.1 2018 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური გარემოს ზოგადი მიმოხილვა და პოლიტიკურ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის ანალიზი 35

2.2 ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, როგორც არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მექანიზმი 38

2.3 სიძულვილის ენა და პოლიტიკური დისკრედიტაციის კამპანიები ციფრულ მედია სივრცეში (2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები) 42

თავი 3. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსის შემუშავებისა და აღსრულების შესახებ 48

3.1 2020 წლის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოს ზოგადი მიმოხილვა და პოლიტიკურ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის ანალიზი 48

3.2 ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, როგორც არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მექანიზმი 51

3.3 სიძულვილის ენა და პოლიტიკური დისკრედიტაციის კამპანიები ციფრულ მედია სივრცეში (2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები) 55

დასკვნა 65

გამოყენებული ლიტერატურა 67

დანართი 69

შესავალი

პოლიტიკური ეთიკა, ფართო გაგებით წარმოადგენს პოლიტიკისა და ეთიკის ურთიერთმიმართებასა და მათ შორის კავშირს, როგორც პოლიტიკური აქტორების საქმიანობისა და ქცევის მარეგულირებელი პრინციპების ერთიანობას, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკაში მორალური ღირებულებებისა და ზნეობრივი სტანდარტების დამკვიდრებას. თუმცა, არ არსებობს ერთიანი ეთიკური სისტემა, რომელიც მორგებული იქნება ყველა საზოგადოებაზე. ამ შემთხვევაში ეთიკისა და პოლიტიკის ურთიერთობა დამოკიდებული კონკრეტულ საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ კულტურასა და მის ფასეულობებზე. ეთიკის სტანდარტების შინაარსობრივი მხარე შესაძლოა დავის საგანს წარმოადგენდეს, თუმცა არა მისი პოლიტიკაში არსებობის მნიშვნელობა და აუცილებლობა. თუკი პოლიტიკა ადამიანების ინტერესებისა და საჭიროებების გამტარებელია, მაშინ საჭიროა მისი საზღვრებში მოქცევა, რეგულირება, რათა არ მოხდეს დემოკრატიისკენ მიმართული ვექტორების ცვლილება.

პოლიტიკური ეთიკა და ქცევის ნორმები უზრუნველყოფს ცალკეული პოლიტიკური ინდივიდებისა თუ გაერთიანებების გარკვეულ ზნეობრივ, მორალურ ჩარჩოებში ჩასმას, რაც სიკეთის მომტანი შეიძლება იყოს არამხოლოდ პოლიტიკური სუბიექტებისთვის, არამედ, თავად საზოგადოებისთვის. საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე დგას თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გამოწვევის წინაშე. არჩევნები ხშირად წარმოდგება, როგორც წინასაარჩევნო მარათონში ჩართული პოლიტიკური სუბიექტებისთვის ძალაუფლების მოპოვების ინსტრუმენტი. სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის ერთ-ერთ ინდიკატორად კი არჩევნების მშვიდობიან, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება მიიჩნევა.

საქართველო, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან სამი ათწლეულის განმავლობაში, ფაქტობრივად, მუდმივად საარჩევნო პროცესებში იმყოფება. ქვეყანაში დღემდე 24 არჩევნები ჩატარდა თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამართლიანი, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მაშინ როდესაც, სწორედ აღნიშნული განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ დემოკრატიის

ხარისხსა და ამასთან სამომავლო განვითარების კურსსაც. წინასაარჩვნო პერიოდში საარჩევნო პროცესების რეგულირების, მათი გამჭვირვალედ წარმართვისა და საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევის მიზნით ხდება საარჩევნო ეთიკური კოდექსის შემუშავება პოლიტიკური პარტიებისთვის, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიის შემაფერხებელი მავნე პრაქტიკების, როგორიცაა ძალადობრივი მეთოდებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, დისკრიმინაცია გენდერის, ეთნიკური თუ რელიგიური მიკუთვნებულობის ნიშნით, ცრუ, მადისკრედიტირებელი ინფორმაციის გავრცელება და ა.შ თავდაპირველ ეტაპზე, შემცირებას და შემდგომ პრაქტიკიდან ეტაპობრივად მათ გაქრობას.

საარჩევნო პროცესებისა და უშუალოდ არჩევნების სამართლიანობას, დემოკრატიულობასა და გამჭვირვალედ ჩატარების არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია უწევს მონიტორინგს. თუმცა, აბსოლუტურად ყველა სადამკვირვებლო მისიის ანგარიშებში ვხვდებით შემაშფოთებელ მონაცემებსა და სტატისტიკას, თუ როგორ ირღვევა ეთიკის კოდექსის თითოეული მუხლი და პუნქტი თითქმის ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ ერთხელ მაინც საარჩევნო პერიოდის განმავლობაში. დარღვევებიდან განსაკუთრებით იკვეთება სამი პუნქტი, რომელიც არსებითია და განსაზღვრავს არჩევნების თანასწორ და უსაფრთხო გარემოში ჩატარებას. კერძოდ, საუბარია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, რომელიც სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ იარაღად, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნების შედეგზე; პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის კამპანიები და სიძულვილის ენა, რომელიც გარდა იმისა, რომ საარჩევნო სუბიექტების მხრიდან ეთიკის კოდექსის პრინციპების უხეში დარღვევაა, ასევე ხელს უწყობს და ახალისებს ამომრჩევლის მსგავს აგრესიულ რიტორიკასა და შესაძლებელს ხდის კანდიდატების მიმართ მათი დამოკიდებულებების მართვასა და ემოციებით მანიპულაციას. აღნიშნული პრაქტიკა კიდევ უფრო აძლიერებს და ამწვავებს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პოლარიზაციას, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს პოლიტიკურ სტაბილურობის შენარჩუნებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე, ამასთან აზიანებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

მიუხედავად იმისა, რომ მეტნაკლებად ყველა პარტია თანხმდება ეთიკის ნორმების შემუშავების აუცილებლობასა და მათი დაცვის მნიშვნელობაზე, მაინც მუდმივად ვხვდებით აღნიშნული ნორმების დარღვევის ფაქტებს მთავარი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიებიდან და სიძულვილის ენიდან დაწყებული, პარტაქტივის მხრიდან ფიზიკური ძალადობისა და ანგარიშსწორების არაერთ ფაქტამდე, რომელიც აქტიურად შუქდება მედია საშუალებების მიერ და ფართო საზოგადოება ყოველდღიურ უწყვეტ რეჟიმში ადევნებს თვალს, თუ როგორ იძაბება ისედაც პოლარიზებული საარჩევნო გარემო.

აღნიშნული კვლევითი ნაშრომი ეხება **საქართველოში საარჩევნო ეთიკური კოდექსების შემუშავების მცდელობებს 2018-2020 წლების პერიოდში.**

კვლევის **მიზანია** გავარკვიოთ ეთიკის კოდექსის შეთანხმებული დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, რატომ ირღვევა მისი პუნქტები. რამდენად ინფორმირებულია როგორც პოლიტიკური პარტიების რიგითი წევრები და აქტივისტები, ასევე ამომრჩეველი ეთიკის კოდექსის არსებობისა და მისი შინაარსობრივი მხარის შესახებ. არსებობს თუ არა კოდექსის აღსრულების მონიტორინგის მექანიზმები. მიზნების შესაბამისად გამოიკვეთება შემდეგი **ამოცანები**: საინტერესოა პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულების შესწავლა ეთიკის კოდექსის დოკუმენტის მიმართ და რა მიზეზებით არ ასრულებენ შეთანხმების პუნქტებს; რა ღონისძიებებს ახორციელებენ პოლიტიკური სუბიექტები ეთიკის ქცევის კოდექსის შესახებ ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად; აღსრულების მექანიზმებისა და მონიტორინგის ორგანოების მუშაობის შესწავლა და მათი ეფექტურობის განმსაზღვრელი გარემოებების დადგენა და ანალიზი.

კვლევის **ობიექტებს** წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ექსპერტები, რომელიც კომპეტენტურები არიან და საკითხის შესახებ ფლობენ რელევანტურ ინფორმაციას. ასევე იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელიც წინასაარჩევნო პროცესებისა და პოლიტიკური გარემოს

მონიტორინგს ახორციელებენ. ამასთან, საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ანგარიშები, სამეცნიერო სტატიები და კვლევები.

პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის დოკუმენტის, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად, ყველა მუხლის უგულებელყოფა და დარღვევა ხდება. აქედან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური **კითხვები**:

1. იქიდან გამომდინარე, რომ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის დოკუმენტს არ გააჩნია სამართლებრივი ძალა, საინტერესოა, რამდენად ეფექტურია პარტიების შეთანხმებული ნორმების აღსრულების მონიტორინგის მექანიზმები;
2. რა აფერხებს პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან საარჩევნო ეთიკური ნორმების დაცვისთვის შესაბამისი პოლიტიკური ნების გამოვლენას;
3. რამდენად ინფორმირებულია ამომრჩეველი პოლიტიკურ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის პრინციპებისა და ნორმების შესახებ.

აღნიშნული კითხვებიდან გამომდინარე ფორმულირდება შესაბამისი **ჰიპოთეზები**:

1. პარტიების შეთანხმებული ნორმების აღსრულების მონიტორინგის მექანიზმები არაეფექტურია, რადგან არ არსებობს ოფიციალური ორგანოები, რომელსაც პირდაპირ ევალება ეთიკის კოდექსის პუნქტების აღსრულების მონიტორინგი;
2. პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან საარჩევნო ეთიკური ნორმების დაცვისთვის შესაბამისი პოლიტიკური ნების გამოვლენას ხელს უშლის მათი მთავარი მიზანი, რომელიც არჩევნებში გამარჯვებაა და შესაბამისად, იყენებენ ნებისმიერ ხელმისაწვდომ საშუალებას აღნიშნული მიზნის მისაღწევად;
3. პოლიტიკური პარტიები არ ასრულებენ ეთიკის კოდექსის შეთანხმებულ პუნქტებს პარტიის წევრებისა და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კუთხით, რაც ამ საკითხთან მიმართებით ამომრჩეველთა უმრავლესობის ნაკლებ ინფორმირებულობას განიპირობებს.

თეორიული ჩარჩო

თეორიული თვალსაზრისით ნაშრომი ეყრდნობა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას. საზოგადოებრივი ხელშეკრულება, პოლიტიკურ ფილოსოფიაში წარმოადგენს მოქმედ ან ჰიპოთეტურ ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, მმართველებს ან მმართველებსა და მათ მართულებს შორის, რომელიც განსაზღვრავს თითოეულის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული თეორია უკავშირდება ინგლისელი ფილოსოფოსების ჰობსისა და ლოკის და ფრანგი ფილოსოფოსის რუსოს სახელებს. ის, რაც განასხვავებდა პოლიტიკური ვალდებულების ამ თეორიებს იმ პერიოდის სხვა დოქტრინებისგან, იყო მათი მცდელობა გაემართლებინათ და შეეზრუდათ პოლიტიკური ავტორიტეტი ინდივიდუალური პირადი ინტერესებისა და რაციონალური თანხმობის საფუძველზე. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიები განსხვავდებოდა მათი მიზნის მიხედვით, კერძოდ: ზოგიერთი გამიზნული იყო სუვერენის ძალაუფლების გასამართლებლად, ზოგი კი მიზნად ისახავდა ინდივიდის დაცვას სუვერენის ძალაუფლებისგან.

სამივე ავტორი, ჰობსიც, ლოკიც და რუსოც განსხვავებულად აღიქვამენ და განიხილავენ საზოგადოებრივ ხელშეკრულებას. მაგრამ რაც ჩვენი ინტერესის საგანი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ერთ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები, მმართველებიც და მართულებიც, თანხმდებიან, რომ საერთო მიღებულ მორალურ კანონებში მოექცნენ და იცხოვრონ მათ შესაბამისად, ვინაიდან მორალი არის ქცევის მარეგულირებელი წესების ერთობლიობა, რომელსაც რაციონალური ადამიანები იღებენ იმ პირობით, რომ სხვებიც მიიღებენ და დაემორჩილებიან მათ.

თუკი ხელს ვაწერთ და ვთანხმდებით გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, ასევე პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ ჩვენი შეთანხმება არ დარჩება მხოლოდ დოკუმენტირებული ქაღალდზე, არამედ რეალურად განხორციელდება პრაქტიკაში. პოლიტიკაში ჩართული სუბიექტები, სარგებლობენ რა ხალხის მანდატით და მათი ძალაუფლების წყარო სწორედ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრებისგან მოდის,

განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნონ საკუთარ საქმიანობას. ზეპირი დაპირებები იქნება თუ დოკუმენტირებული შეთანხმებები, რომელიც დამოწმებულია პოლიტიკური სუბიექტების ხელმოწერებით, აუცილებლად, უპირობოდ, ყოველგვარი გამართლების გარეშე უნდა სრულდებოდეს. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი წინასწარ გააზრება და გაანალიზება თუ რას ამბობენ ვერბალურად და რას აწერენ ხელს დოკუმენტურად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საარჩევნო სუბიექტები, როგორც 2018 წლის საპრეზიდენტო, ასევე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში შეთანხმდნენ საარჩევნო ეთიკური კოდექსების შემუშავებისა და შესაბამისი პრინციპების პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობაზე, არ უნდა დაფიქსირებულიყო მათი მხრიდან აღნიშნული ნორმების დარღვევის ფაქტები, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა და რეალური სურათი სულ სხვა მივიღეთ.

აღნიშნული ნაშრომი, პოლიტიკისა და ეთიკის კავშირის კუთხით ეყრდნობა კომპრომისულ მიდგომას, რომელიც აღიარებს და აუცილებლადაც კი მიიჩნევს ზნეობრივი ელემენტების ზემოქმედებას პოლიტიკაზე, ოღონდ, რა თქმა უნდა, პოლიტიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამ მიდგომის მიხედვით, ყველაზე თვალსაჩინო და ცნობილი წარმომადგენელია მაქს ვებერი. აბსოლუტურად ვეთანხმები მის პოზიციას, რომ დაუშვებელია ეთიკისა და პოლიტიკის სრული გამიჯვნა ერთმანეთისგან. ეთიკა ეხმარება პოლიტიკას იყოს უფრო გამჭვირვალე და პოზიტიური ცვლილებების გამტარებელი საზოგადოებისთვის. თუმცა, აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ წარმოუდგენელია ერთიანი ეთიკური, მორალური კოდექსის არსებობა, რომელიც საყოველთაო იქნებოდა საქმიანობის ყველა სფეროსთვის. სწორედ ამიტომაა აუცილებელი თითოეული სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური დეტალების გათვალისწინება.

ვებერი თავის ნაშრომში ასევე მიჯნავს ერთმანეთისგან „მრწამსისა“ და „პასუხისმგებლობის“ ეთიკას. პირველი გულისხმობს ზნეობრივი პრინციპების უპირობო მორჩილებას, რაც შეეხება მეორეს, იგი ადამიანს ავალდებულებს პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე და მათ მოსალოდნელ სავარაუდო შედეგებზეც.

კანტის დეონტოლოგია მოვალეობის ეთიკაა, რომლის თანახმადაც წესებისა და ვალდებულების შესრულება ევალება ყველას, გამონაკლისის გარეშე. აქ ქმედება მორალური კონტექსტით ფასდება - მისი სისწორე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მიჰყვება მოვალეობებს, მორალურ წესებს.

კანტის კატეგორიული იმერატივი პოზიტიური ხასიათისაა, ვინაიდან ის ხაზს უსვამს და მოუწოდებს ადამიანებს საკუთარი კეთილი ნების შესაბამისად იმოქმედონ ზნეობრივი პრინციპების ფარგლებში. მართალია, კანტი აღიარებს თავისუფლების იდეის უზენაესობას, მაგრამ აქვე ხსნის თავისუფლების მისეულ არასტანდარტულ გაგებას, რომელსაც, ვფიქრობ, შეუძლებელია არ იზიარებდე. ამ შემთხვევაში თავისუფლება გულისხმობს მორალის ჩარჩოებში ქმედებას და არა პირველყოფილ ინსტინქტებზე დამონებას: „თავისუფალი ნება, მორალურ კანონებში მოქცეული ნების ტოლფასია“. თავისუფალი საზოგადოება ხელს უწყობს ადამიანების ინდივიდუალურ განვითარებასა და თავისუფლად აზროვნებაში.

თუკი ვებერისთვის თვითონ მიზანზე მეტად მნიშვნელოვანია თუ როგორი საშუალებებით ცდილობ ამ მიზნის მიღწევასა და რამდენადაა ისინი ზნეობრივი პრინციპებთან თანხვედრაში, კანტი ამ შემთხვევაში აცხადებს, რომ მისთვის ნებისმიერი ქმედება მისაღები და დასაშვებია თუკი ის ეფუძნება მისეულ კატეგორიულ იმპერატივს. შეიძლება ლოგიკური კითხვა გაგვიჩნდეს, თუ როგორ შეიძლება საშუალებების უგულებელყოფა და „კარგ“ მიზნამდე რამდენადა შესაძლებელი „საეჭვო“ საშუალებებით სვლა. ამ შემთხვევაში კანტი ამბობს და აქცენტს აკეთებს ადამიანის რაციონალურ მხარეზე, რომელიც მართავს ინდივიდის ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს მორალურ

კანონთან შესაბამისად. ადამიანი რაციონალური არსებაა და სწორედ მისი რაციონალურობიდან გამომდინარე იღებს ვალდებულებას, რომ გონებისა და პრაგმატულობის შესაბამისად მოიქცეს და უბრალოდ არ მოუწოდებს თუ უბრძანებს გარკვეული ქმედებების არჩადენისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების განხორციელებისკენ.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მთავარი მიზანი გამარჯვებაა, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ მოცემული მიზნის მისაღწევად დაშვებულია საარჩევნო კანონმდებლობის მუხლებისა და წინასაარჩევნოდ შემუშავებული ქცევის ეთიკის ნორმების დარღვევა. პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მხრიდან ოპონენტების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიების წარმოება, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის გამოყენება, სახელმწიფო ადმინისტრაციული რესურსების ჩართვა კონკრეტული კანდიდატის/ების სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ, ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვაზე და ამასთან წინააღმდეგობაში მოდის როგორც ვებერის, ასევე კანტის იდეებთან. პოლიტიკის სფეროზე, ჩვენს შემთხვევაში საარჩევნო პროცესებზე ეთიკის ნორმების გავლენის შეზღუდვასა და ყოველგვარი მორალური ჩარჩოების გარეშე პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო ქცევა პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს დემოკრატიული ღირებულებებისა და სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად განვითარებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითად აისახება საზოგადოების თითოეულ წევრზე.

მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა ეხება საარჩევნო კოდექსების შემუშავებასა და აღნიშნული კოდექსის პუნქტების აღსრულების პრაქტიკის კეთილსინდისიერებას, შესაბამისად, ნაშრომი დაფუძნებულია კვლევის **თვისებრივ მეთოდზე.** კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი, ვინაიდან საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია 2018 და 2020 წლების პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსების შესწავლა და მათი სიღრმისეული ანალიზი. ასევე იმ ოფიციალური ანგარიშების გაცნობა და დამუშავება,

რომელიც იკვლევს და აღწერს წინასაარჩევნო პროცესებსა და პოლიტიკურ გარემოს შეფასებას ახდენს სხვადასხვა ასპექტებისა და კრიტერიუმების მიხედვით. არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა საარჩევნო ეთიკური კოდექსების შესახებ უკვე არსებული სამეცნიერო სტატიებისა და ნაშრომების გაცნობა. ამასთან, ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად ცხრა სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევის საფუძველზე დარგის სპეციალისტებთან, პოლიტიკურ სუბიექტებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელიც ახორციელებენ საქართველოში საარჩევნო პროცესების მონიტორინგს.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა არაალბათური შერჩევის ერთ-ერთ სახე, კერძოდ, **მიზნობრივ შერჩევა**, ვინაიდან კვლევის მიზანს წარმოადგენდა კომპეტენტური პირებისგან რელევანტური და დაზუსტებული ინფორმაციის მიღება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დასმული საკითხის სიღრმისეული ანალიზი და შეფასება.

ლიტერატურის მიმოხილვა

საარჩევნო ეთიკური კოდექსების შექმნის პრაქტიკების 2018 და 2020 წლების არჩევნების მაგალითზე კვლევისა და ანალიზისას, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია თემის ირგვლივ ზოგადი და გასული წლების გამოცდილების შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლა, რომელიც დაგვეხმარება არამხოლოდ კოდექსის აღსრულების კუთხით განხორციელებული ცვლილებების ანალიზში, ასევე შესამჩნევად გამოკვეთს მიმდინარე ტენდენციებს და გამოწვევებს, რომელიც აფერხებს პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმების პრაქტიკაში დამკვიდრებას. აუცილებელია ხაზგასმა თუ რამდენად თანხვედრაშია ეთიკის კოდექსში ასახული სტანდარტები საქართველოში არსებულ პოლიტიკურ რეალობასა და გარემოსთან და პრაქტიკულად შესაძლებელია თუ არა მისი ნორმების აღსრულება.

ნათია ზედგინიძის სტატიაში „საქართველო: პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობანი წინასაარჩევნო პერიოდებში (2012 და 2016 წლებში)“ განხილულია აღნიშნულ პერიოდში საპარლამენტო არჩევნების წინ ეთიკის დოკუმენტის შექმნისა და მისი პუნქტების განხორციელების იმდროინდელი პრაქტიკა. გამოკვეთილია საინტერესო მოსაზრება, რომ 2012 და 2016 წლების პარტიათა ქცევის წესების დოკუმენტების შექმნის ინიციატივები რეალურად მიზნად ისახავდა პოლიტიკური პარტებისთვის წინასაარჩევნო კამპანიების თავისუფლად, ერთმანეთისთვის ხელის შეუშლელად ჩატარების შესაძლებლობებს და არ იკვეთებოდა მზაობა საარჩევნო გარემოს დემოკრატიულობის ხარისხის ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოებაში სამართლიანობის გამტკიცებასთან მიმართებაში. პოლიტიკური სუბიექტები უპირველესად ესწრაფვიან არჩევნებში გამარჯვების სურვილს. საარჩევნო ეთიკის ნორმების შემუშავება და მიღება კი განიხილება, როგორც საარჩევნო კამპანიის ნაწილი, რომელიც საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლადაა საჭირო. სტატიის ავტორი საუბრობს იმ გამოწვევებზე, რომელიც თან ახლავს ქცევის წესების მიმართ პარტიათა მხრიდან მხარდაჭერას. როდესაც 2012 წელს მაშინდელი მმართველი პარტიის მხრიდან ინიცირებული საარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების ქცევის წესების შესახებ დეკლარაცია მაშინდელი

მთავარი ოპოზიციური ძალის „ქართული ოცნების“ მიერ აღიქმებოდა, როგორც ხელისუფლებაში მყოფი პარტიის მიერ ამომრჩეველთა თავისუფალი ნებით მანიპულაციისა და მათ სასარგებლოდ მოქმედ პიარკამპანიად. ხოლო, როდესაც აღნიშნული არჩევნების შედეგად მოცემულობა შეიცვალა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ერთანი ნაციონალური მოძრაობა“ გადაიქცა ყველაზე მსხვილ ოპოზიციურ პარტიად, სწორედ მან განაცხადა უარი „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ წარდგენილ საარჩევნო ეთიკის წესების პროექტის მხადაჭერაზე და ასევე უარი განაცხადა 2016 წლის 21 სექტემბრის „მშვიდობის მემორანდუმს“ შეერთებოდა. (ზედგინიძე, 2017)

აქვე საინტერესოა განვიხილოთ ლაშა მელაძის კვლევა, რომელიც ეხება საარჩევნო კამპანიების წარმოების ეთიკურ წესებსა და კარგ პრაქტიკას. ნაშრომში ავტორი განიხილავს არამხოლოდ ეთიკის კოდექსების შექმნისა და აღსრულების როლს საარჩევნო პროცესების სამართლიან, დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში წარმართვის კუთხით, ასევე მიმოიხილავს აღნიშნული მიმართულებით მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას და მიღწეულ შედეგებს. ასევე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებზე, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი არჩვენების უზრუნველყოფას, სადაც ხელოვნური ბარიერებისა და დისკრიმინაციის გარეშე ყველა საარჩევნო პოლიტიკურ სუბიექტს ექნება შესაძლებლობა აწარმოოს საარჩევნო კამპანია თანასწორ და დემოკრატიულ გარემოში. ნაშრომში ხაზგასმულია კოდექსის აღსრულების მექანიზმების არსებობის მნიშვნელობა და აუცილებლობა, რადგან მის გარეშე დოკუმნეტი მხოლოდ ფორმალობას ემსგავსება. ავტორი განიხილავს საარჩევნო ეთიკის კოდექსების შექმნის მცდელობებს საქართველოში 2012-2016-2018 წლების პრაქტიკების საფუძველზე და გამოყოფს აღნიშნული დოკუმენტების აღსრულების კუთხით არსებულ ხარვეზებს. (მელაძე, 2020) ამ შემთვევაშიც მთავარი პრობლემა პარტიათა შორის კომუნიკაციისა და ნდობის ნაკლებობაა. ისინი უარს აცხადებენ ხელი მოაწერონ და დაიცვან დოკუმენტის პრინციპები, რომელიც მხოლოდ ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და მისი შეუსრულებლობა სამართლებრივ სანქციებს არ ითვალისწინებს. ასევე საინტერესოა პოლიტიკური სუბიექტების მთავარი მოტივაცია მსგავსი შინაარსის დოკუმენტის

შექმნის თაობაზე: ის მეტწილად მიზნად ისახავს ამომრჩველთა ნდობის მოპოვებასა და საერთაშორისო პარტნიორებისთვის ჩვენებას, რომ პოლიტიკური გარემოს დეპოლარიზაციისა და დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდის მიზნით პარტიები მზად არიან შეთანხმდნენ ეთიკის ნომრებზე, რომელიც აგრეთვე საარჩევნო პროცესებში მორალური განზომილების დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მეტად საინტერესოა, რადგან 2018 და 2020 წლებში ჩატარებული არჩევნებსა და განხორციელებულ საარჩევნო კამპანიებს თუ გადავხედავთ, 2012-2016 წლებთან შედარებით მნიშვნელოვან ცვლილებებსა და განსხვავებებს ვერ აღმოვაჩენთ, მხოლოდ ეთიკის ნორმების ამსახველი დოკუმენტებში გამოყოფილი პუნქტების ჩამონათვალი იზრდება და უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს შეზღუდვებს, იძენს მეტ კონკრეტიკასა და მოიცავს უფრო მეტ განზომილებებს და სფეროებს, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნების საბოლოო შედეგებზე, იქნება ეს პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობა, ინკლუზიური და საგნობრივ, პროგრამაზე დაფუძნებული საარჩევნო კამპანიის წარმოება თუ სოციალურ ქსელებში ე.წ „ტროლებისა“ და „ბოტების“ ქსელის გამოყენების დაგმობა. აღნიშნული წლების ანალიზმა აჩვენა, რომ საარჩევნო ეთიკის კოდექსის კეთილსინდისიერად აღსრულების კუთხით ქვეყანა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რადგან კოდექსში დაგმობილ მავნე პრაქტიკებზე ბოლომდე უარს ვერ ამბობს ქართული პოლიტიკური სპექტრი და ძალაუფლების მოპოვება/შენარჩუნებისთვის არჩევნებში იყენებს ხელმისაწვდომ ნებისმიერი სახის რესურს, რომელიც მათ სასარგებლოდ იმოქმედებს. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ სახელმწიფო და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, რომელზეც ხელი მხოლოდ მმართველ ძალას მიუწვდება, არჩევნების შედეგებით მანიპულირებისა და სასურველი შედეგის მიღების მიზნით. პოლიტიკური პარტიების მხრიდან ქცევის ეთიკის ნომრებზე შეთანხმება საარჩევნო პროცესების მიმართ ამომრჩველთა ნდობასა და მხარდაჭერას ზრდის, რადგან ხელს უწყობს პარტიათა შორის კომუნიკაციას, ამცირებს ძალადობისა და ოპონენტთა წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიების წარმართვას და ეხმარება ამომრჩველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.

საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანი იყო გაგვეცნო საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ 2021 წელს მომზადებული ანგარიში, რომელიც უშუალოდ ეხება პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსის აღსრულების მონიტორინგს. ანგარიშში განხილულია თუ რამდენად აღასრულეს პოლიტიკურმა პარტიებმა ეთიკის ნომრები, რომელზეც წინასაარჩვნო პერიოდში შეთანხმდენენ. ამასთან ყურადღება გამახვილებულია პარტიების მხრიდან აღებულ ვალდებულებაზე, რომელიც ითვალისწინებს კომუნიკაციის გაზრდას როგორც პარტიის შუა და დაბალ რგოლებში, ასევე ამომრჩველთან ეთიკის კოდექსის შინაარსობრივი მხარის გაცნობის კუთხით. არანაკლებ მნიშვნელოვანია შეთანხმების შესრულება პარტიის შიგნით ეთიკის ნორმების დაცვის მხრივ. როგორც ახსნილია დოკუმენტში, რიგ შემთხვევებში პარტიის წარმომადგენლებმა ისიც კი არ იცოდნენ, რომ მათ პარტია კოდექსის ერთ-ერთი ხელმომწერი იყო. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ამომრჩველთა დიდი ნაწილი არათუ კოდექსის შინაარსობრივ მხარის შესახებაა ინფორმირებული, არამედ საერთოდ არ ფლობს ცნობებს მსგავსი ტიპის დოკუმენტის არსებობის შესახებ. ანგარიშში აგრეთვე წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ტელემედია სივრცეში წარმოებული კამპანიის ხარვეზებს ეთიკის კოდექსთან მიმართებით და ასევე აღწერს იმ სირთულეებს რაც თან ახლავს მედიის (ტელე, ბეჭდური და სოციალური მედიის) მონიტორინგს კოდექსის ნორმების აღსრულების ჭრილში. (ინსტიტუტი, 2020)

მოცემული ანგარიში საკმაოდ ცხადად აღწერს იმ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომელიც ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმების აღსრულების კუთხით იკვეთება. პარტიის წევრების, აქტივისტებისა და ამომრჩევლის ინფორმირებულის დაბალი მაჩვენებელი კოდექსის პუნქტების შესახებ, ასევე აღსრულების მონიტორინგის მექანიზმების არ არსებობა, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს საარჩევნო გარემოს დემოკრატიულობასა და გამჭვირვალობაზე და ხელს უშლის საარჩევნო პროცესების სამართლიანად და თანასწორობის პრინციპის თანახმად წარმართვას.

საინტერესო იყო უცხოენოვანი ლიტერატურატურის გაცნობა, სადაც დეტალურადაა გაწერილი და გაანალიზებული პარტიათა ეთიკის კოდექსის არსი, შექმნის მიზნები, მიზეზები, აღსრულების მნიშვნელობა, განსაკუთრებით გარდამავალი დემოკრატიების სახელმწიფოებისთვის და განხილული იყო ის ძირითადი გამოწვევები, რომელიც ხელს უშლის კოდექსის პრაქტიკაში დამკვიდრებას. სწორედ აღნიშნულ საკითებზე საუბრობს ავტორი კვლევით ნაშრომში „საარჩევნო ქცევის ეთიკის კოდექსი" (Codes of Conduct for Elections), რომელიც ჯერ კიდევ 1998 წელს გაქვეყნდა. სამართლიანი საარჩევნო კამპანიის წარმოებისა და დემოკრატიული საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისთვის, ავტორი საუბრობს პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობის აუცილებლობაზე, მედიის როლზე საარჩევნო პროცესების სამართლიანად წარმართის კუთხით, აგრეთვე მედიაში საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი საეთერო დროის დათმობის მნიშვნელობაზე, სიძულვილის ენისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებისა და სადამკვირვებლო მისიების პასუხისმგებლობასა და უფლება-მოვალეობებზე. (Goodwin-Gill, 1998)

აღნიშნულ საკითებზეა გამახვილებული ყურადღება დემოკრატიის და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ორ დოკუმენტში. ანგარიშში „პოლიტიკურ პარტიათა ქცევის კოდექსში" (Code of Conduct for Political Parties) ახსნილია ნებაყოფლობით საარჩევნო კოდექსის მიღების მიზეზები, კომუნიკაციის მნიშვნელობა პოლიტიკურ პარტიებს შორის არამხოლოდ ზოგადად კოდექსის აღსრულების კუთხით, ასევე მომდევნო არჩევნებისთვის ახალი დოკუმენტის შექმნის მიზნით. განსაზღრულია თუ ვის ეხება ეთიკის კოდექსის ნორმები, გამოყოფილია სპეციფიკური დრო, როდესაც შეთანხმებული დოკუმენტი ძალაშია და გათვალისწინებულია სანქციები მისი დარღვევის შემთხვევაში. აგრეთვე, ხაზგასმულია აღნიშნული კოდექსის შესაბამისობა სახელმწიფოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებების დეკლარაციასთან. (IDEA., 1999). ხოლო რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, „დიალოგები არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ქცევის ნებაყოფლობით კოდექსებზე" (Dialogues on Voluntary Codes of Conduct for Political Partries in Elections), რომელიც ფასილიტატორის გზამკვლევს წარმოადგენს, მასში ახსნილი და

დეტალურად გაწერილია წინასაარჩევნოდ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის შემუშავების ყოველი ნაბიჯი და იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მექანიზმები. აგრეთვე, საუბარია ფასილიტატორების როლზე და მათ ჩართულობაზე კოდექსის შექმნისა და მიღების პროცესებში. ამასთან მოყვანილია საერთაშორისო გამოცდილება და სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკები მეტი თვალსაჩინოებისთვის, მათ შორისაა საქართველოში 2016 წელს მიღებული ეთიკის კოდექსი პოლიტიკური პარტიებისთვის.

ზემოთ აღნიშნული ლიტერატურა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების გააზრება და გაანალიზება, სანამ გადავწყვეტთ მსგავსი სიახლის ჩვენ პოლიტიკურ დღისწესრიგში დაყენებას და მის აღსრულებას. აუცილებელია კოდექსის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეების კომუნიკაცია პოლიტიკურ პარტიებთან და კოდექსის შინაარსობრივი მხარის გაცნობა ამომრჩეველისთვის. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოების ცნობიერების დონე საარჩევნო ქცევის ეთიკის კოდექსის შესახებ, ზემოთ განხილული ლიტერატურის თანახმად, საკმაოდ დაბალია. აგრეთვე მნიშვნელოვანია მიზეზებისა და შესაბამისი მიზნების განსაზღვრა მსგავსი ტიპის დოკუმენტის შემუშავებისთვის, რომელიც, როგორც წესი ემსახურება დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, უზრუნველყოფს საარჩევნო გარემოს სამართიანობა და თანასწორობას და ამასთან ზრდის ამომრჩველთა ნდობას საარჩევნო პროცესებისა და არჩევნების შედეგების მიმართ, რაც კიდევ უფრო ზრდის და აძლიერებს ხელისუფლების ლეგიტიმაციას.

თავი 1. ეთიკის კოდექსის არსი და მიზნები - ზოგადი მიმოხილვა

1.1 ეთიკის კოდექსის არსის და შექმნის მიზნების განსაზღვრა

ეთიკის კოდექსი, ზოგადად, არის სტანდარტებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ სფეროში ჩართულმა სუბიექტებმა უნდა დაიცვან. ამ მხრივ ყველაზე ძველი და ფართოდ ცნობილი მაგალითია ჰიპოკრატეს ფიცი, რომელიც წარმოადგენს ფორმალურ განაცხადს ზიანის მიუყენებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს აღსრულების პირდაპირი სამართლებრივი საშუალება, ის არის პრინციპი, რომელსაც ნებაყოფლობით ასრულებენ მედიცინის მუშაკები და რომელიც განსაზღვრავს მათ ქცევას პროფესიულ გარემოში. მსგავსი სახის ფორმალური და სამართლებრივი თვალსაზრისით ვალდებულებითი ხასიათის არ მქონე დოკუმენტები გავრცელებულია მსოფლიოს მასშტაბით და მათი აღსრულება ემყარება იმ პირების კეთილსინდისიერებას, ვინც თანხმდება და პირობას დებს მათ დაცვასა და აღსრულებაზე. (International IDEA, 2017)

საარჩევნო ეთიკის კოდექსი, იგივე პოლიტიკური სუბიექტების ქცევის მორალური კოდექსი, განსაზღვრავს იმ სუბიექტების მხრიდან მის აღსრულებას, ვინც ჩართულნი არიან პოლიტიკურ პროცესებში ან/და იკავებენ პოლიტიკურ თანამდებობს და მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიები ნებაყოფლობით თანხმდებიან ეთიკის კოდექსების შემუშავებას, რათა მორალურ საზღვრებში მოაქციონ საარჩევნო სუბიექტებისა და მათი ელექტორატის ქცევა.

პარტიათა ქცევის კოდექსი განიხილება როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს საარჩევნო პროცესების სამართლიანობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას, ამომრჩეველთა თავისუფალი ნების განხორციელებას და ინფორმირებული არჩევანის

გაკეთებას, ასევე უზრუნველყოფს პოლიტიკური სუბიექტების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. (Goodwin-Gill, 1998)

სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ბევრი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. არჩევნები, ერთის მხრივ პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელი ელემენტია, ხოლო მეორე მხრივ შეიცავს საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული კანონდარღვევებისა და ძალადობის რისკებს. ამ კუთხით განსაკუთრებულ როლს ასრულებენ პოლიტიკური პარტიები - იმის მიხედვით თუ როგორ წარმართავენ საარჩევნო კამპანიებს, მათ შეუძლიათ ან წაახალისონ ძალადობრივი ქმედებები ოპონენტებისა და მათი ამომრჩევლების წინააღმდეგ, ან პირიქით, დაგმონ და ხელი შეუშალონ მსგავსი მავნე პრაქტიკის დანერგვას. საარჩევნო ეთიკის კოდექსი ზღუდავს პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ოპონენტების მიმართ ნეგატიური კამპანიების წარმოების შესაძლებლობებს და ამავდროულად, პოლიტიკური პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და საარჩევნო გარემოს დემოკრატიზაციის მიზნით უზრუნველყოფს პარტიების მხრიდან საარჩევნო ქცევის რეგულირებასა და მათ გარკვეულ სტანდარტებში მოქცევას. (International IDEA, 2017)

ეფექტური და სწორად გაწერილი ეთიკის კოდექსის შემუშავებისას მრავალი პრაქტიკული დეტალია გასათვალისწინებელი, რაც დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური პარტიების, ცალკეული კანდიდატების, მედიისა და ზოგადად საზოგადოების ინფორმირებულობისა და მხარდაჭერის კუთხით. პოლიტიკური პარტიები ხშირად თავადაც ერთვებიან წინასაარჩევნო ეთიკის კოდექსის შემუშავებაში, რაც პოზიტიური პრაქტიკაა, რადგან მათი ჩართულობა და ამ პრინციპების დაცვა გავლენას ახდენს საარჩევნო პროცესებსა და არჩევნების შედეგების მიმართ საზოგადოებისა და ჩართული მხარეების ნდობაზე. აღნიშნული ასევე ხელს უწყობს მომავალში პოლიტიკური კულტურის დანერგვასა და პოლარიზაციის შემცირებას. ამასთან, ქცევის ეთიკის კოდექსი, რომელიც ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და არ არის სავალდებულო შესასრულებელი, სავარაუდოდ, უფრო შეძლებს მასზე

დაკისრებული მიზნების მიღწევას, როდესაც მისი შემუშავება ხდება მხარეებთან საკონსულტაციო დიალოგის ფარგლებში (International IDEA, 2017)

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ეთიკის კოდექსი შესაძლოა რამდენიმე განსხვავებული ტიპის იყოს და შესაბამის ხასიათსაც ატარებდეს, კერძოდ:

1. საარჩევნო კანონმდებლობის ნაწილი. არის შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობაში აღწერილი დებულებები არეგულირებს პოლიტიკური სუბიექტების ქცევას, თუმცა ამის მიუხედავად, აღნიშნული დებულებები არ არის აღწერილი და მიჩნეული როგორც „ეთიკის კოდექსი";
2. პოლიტიკურ სუბიექტებს შორის შეთანხმებული დოკუმენტი, რომელშიც, როგორც წესი მესამე მხარე მოდერატორად არის ჩართული;
3. მასზე შეიძლება შეთანხმდნენ პარტიები, ხოლო ამის შემდეგ აისახოს საარჩევნო კანონმდებლობაში;
4. შეიძლება შემუშავებული იყოს მესამე მხარის მიერ, კერძოდ, არჩევნების მარეგულირებელი ორგანო და არასამთავრობო ორგანიზაცია. (მელაძე, 2020)

ეთიკის კოდექსი, რომელიც საკანონმდებლო ჩარჩოს ნაწილია, ბუნებრივია, სავალდებულოა ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისთვის. რაც შეეხება პოლიტიკური სუბიექტების კეთილი ნების საფუძველზე შეთანხმებულ ეთიკის დოკუმენტს, ის მხოლოდ ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და მისი შეუსრულებლობაზე სანქციები არ არის გაწერილი კანონში. თუმცა, ამის მიუხედავად, მსგავსი კოდექსები თავად პარტიათა შორის ე.წ. კონტრაქტის, წერილობითი ხელშეკრულების როლს ასრულებს, რომელიც მიზნად ისახავს ყველა ჩართული მხარისა და მათი მხარდამჭერების საარჩევნო ქცევის რეგულაციას პოლიტიკური გარემოს დემოკრატიულობისა და საარჩევნო სუბიექტებს შორის თანასწორობის პრინციპის აღსრულებისთვის.

1.2 საარჩევნო ეთიკის კოდექსის შექმნის მიზნები

თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებში, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური გარემოს სტაბილურობისთვის, საზოგადოებაში ნდობის მაჩვენებლის გაზრდისა, საარჩევნო პროცესებში ჩართული სუბიექტებისთვის თანასწორი პირობების უზრუნველყოფისთვისა და ერთმანეთთან კონკურენციაში გარკვეული წესრიგის შესაქმნელად თვითრეგულირება და აღებულ პასუხისმგებლობებზე მონიტორინგი მნიშვნელოვანი ასპექტია საარჩევნო პროცესების სამართლიანად წარმართვისთვის. განსხვავებული სიტუაციაა გარდამავალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური პოლარიზაციის დონე ჯერ კიდევ მაღალია, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი პრაქტიკაში ბოლომდე ჯერ არ/ვერ ხორციელდება და ძალისმიერი მეთოდები, - ოპონენტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები, შეკრებების დარბევა, მხარდამჭერებზე ვერბალური თუ ფიზიკური დაპირისპირება, სააგიტაციო მასალის გავრცელებაში ხელის შეშლა ან მათი განადგურება, მსგავსი ქმედებების წახალისება, წინასაარჩევნო პროცესების თანმხლები მოვლენებია. ამ შემთხვევაში პარტიებისთვის ეთიკის კოდექსის შემუშავება არსებითად მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

1. ეთიკის კოდექსს შეუძლია შეავსოს საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები;
2. კომპენსირება მოახდინოს საარჩევნო კანონმდებლობის რეგულირებისა და აღსრულების კუთხით პრობლემების არსებობის შემთხვევაში;
3. ხელი შეუწყოს არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობას;
4. გააძლიეროს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა. (International IDEA, 2017)

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კოდექსის მთავარი უპირატესობა მისი მორალური და არასამართლებრივი ვალდებულებითი ხასიათია. მას შეუძლია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შევსება და შესწევს უნარი მოიცვას კონკრეტული საკითხები თუ ქცევა, რომელსაც არ ითვალისწინებს კანონი. პოლიტიკური მხარეების მიერ შეთანხმებული ეთიკის კოდექსები მიიღება თანასწორი და გამჭვირვალე საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად. გრძელვადიან პერსპექტივაში, მსგავსმა პრაქტიკამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური

პროცესებისა და კეთილდღეობის მომტანი მშვიდობიანი ცვლილებების განხორციელების მიმართ ნდობის გაზრდას. ქცევის კოდექსები ასევე უზრუნველყოფს თავად პოლიტიკურ სუბიექტებს შორის აქტიურ კომუნიკაციას, რაც დადებითად მოქმედებს დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე, ვინაიდან ამცირებს კომუნიკაციის ნაკლებობით გამოწვეულ პოტენციურ პრობლემებს და თავიდან იცილებს კონფრონტაციებს. (Goodwin-Gill, 1998)

ნებაყოფლობითი ეთიკური კოდექსის შემუშავებისა და შემდგომში აღსრულების მიზნით, მოლაპარაკებებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები გავლენას ახდენენ და პოზიტიურ ცვლილებებს ნერგავენ საარჩევნო კამპანიების წარმართვის სტილსა და მათ ძირითად აქცენტებზე. ამასთან, ქცევის კოდექსი შესაძლოა იყოს ეფექტური, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღსრულება კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები კეთილსინდისიერად და თავისუფალი ნების საფუძველზე დაიცავენ მას. რადგან არსებობს უფრო მეტი შანსი შეთანხმებული პუნქტების აღსრულების პოლიტიკური პარტიების მხრიდან, როდესაც ისინი ნებაყოფლობით იყვნენ ჩართულნი აღნიშნული დოკუმენტის ფორმირებასა და შემუშავებაში. პარტიებს შეუძლიათ ერთმანეთის მონიტორინგი: მოუწოდონ მხარეებს თავი შეიკავონ იმგვარი ქმედებებისგან, რომელიც ეწინააღმდეგება კოდექსის პუნქტებსა თუ კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა უფლებებს, იქნება ეს სიტყვის, მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა, ცრუ და მადისკრედიტირებელი ინფორმაციის გავრცელება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მუქარა, ქრთამის აღება თუ სხვა. (IDEA., 1999)

1.3 აღსრულების მექანიზმები, როგორც ეთიკის კოდექსის წარმატებული პრაქტიკების გარანტი

ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება საკმაოდ რთული და კომპლექსური საკითხია. აქ მნიშვნელოვანია აღსრულების ეფექტური სამოქმედო გეგმა, რის გარეშეც კოდექსი იძენს ფორმალურ, სიმბოლურ სახეს, რომელიც მხოლოდ საზოგადოებისთვის თვალის ახვევისა და დარწმუნების მიზნით იქმნება, რომ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან წარმოებული საარჩევნო კამპანიები და ზოგადად პარტიული პოლიტიკა

ეთიკურ საზღვრებშია მოქცეული, მაშინ როდესაც, რეალურად, დოკუმენტს მხოლოდ მცირე გავლენა აქვს პოლიტიკური აქტორების ქცევაზე.

მაშინ როდესაც დადებითადაა შეფასებული პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსების შემუშავების მცდელობები, როგორც პოლიტიკურ გარემოსა და დემოკრატიზაციის პროცესებზე პოზიტიური გავლენის მქონე პრაქტიკა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი აღსრულების მექანიზმების უზრუნველყოფა, რათა ეთიკის დოკუმენტი არ დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე შემუშავებული პრინციპებისა და ნორმების კრებულად და მოხდეს მისი რეალურად განხორციელება. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა გარკვეული პასუხისმგებლობის მატარებელნი არიან თავად ის პოლიტიკური სუბიექტები, ვინც მონაწილეობა მიიღო კოდექსის შემუშავებაში და ხელის მოწერით დაადასტურა საკუთარი მზაობა მისი დაცვის კუთხით. მეორე მხრივ, შესაძლოა აღსრულების მონიტორინგის კუთხით, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, გათვალისწინებული იყოს მესამე პირების პროცესში ჩართულობა, მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაცია ან/და სპეციალურად შექმნილი ორგანოები, რომლის ლეგიტიმაციას გაწერილია კანონით და აღჭურვილია შესაბამისი რეგულაციებისა და სანქციების დაწესების უფლებამოსილებით, ეთიკის კოდექსის შეთანხმებული პრინციპების დარღვევის შემთხვევაში. (მელაძე, 2020) აღნიშნული, აგრეთვე ითვალისწინებს გასაჩივრების შესაძლებლობებს, როდესაც პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან არაეთიკური საქმიანობის შესახებ ცნობები მიეწოდებათ კოდექსის აღსრულების მონიტორინგში ჩართულ მესამე პირებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პრაქტიკა ასევე უპირობოდ უნდა ითვალისწინებდეს კომუნიკაციების უსაფრთხო არხების შექმნას, რათა პოლიტიკური რეპრესიებისგან დაცულნი იყვნენ ის პირები, ვინც „არაკეთილსინდისიერ ქმედებებზე“ გააკეთებს განაცხადს და ამავდროულად, გაწერილი იყოს დასჯის მექანიზმები, ცილისწამებისა და ცრუ, დაუზუსტებელი განაცხადების შემთხვევაში.

მხოლოდ იურიდიულად სავალდებულო ხასიათის მქონე ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა შეიძლება დაისაჯოს ან სანქცირებული იქნეს სახელმწიფო უწყებების მხრიდან, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლო. სანქციები შეიძლება

ითვალისწინებდეს ჯარიმებს, პოლიტიკური პარტიების ან კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნასა და პატიმრობასაც. ნებაყოფლობითი კოდექსი კი ითვალისწინებს ჩართული სუბიექტების მხრიდან შეთანხმების პუნქტების შესრულებას ნებაყოფლობით. ამ შემთხვევაში კოდექსის შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველაზე დიდ სასჯელად იგულისხმება პარტიისა და კანდიდატის პოლიტიკური რეპუტაციის დაზიანება. აქ კოდექსის აღსრულება ემყარება იდეას, რომ რადგან პოლიტიკური სუბიექტები საჯაროდ შეთანხმდნენ და ხელი მოაწერეს ეთიკის წესებს, მაშინ ისინი განახორციელებენ მას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი იმიჯი საჯაროდ შეილახება და მკვეთრად დაეცემა მათი პოლიტიკური რეიტინგებიც. (International IDEA, 2017)

კანადის ერთ-ერთ პროვინცია მანიტობაში, ქცევის კოდექსის აღსრულებისა და მისი ნორმების პრაქტიკაში განხორციელების ვალდებულება ეკისრებათ ცალკეულ პარტიებს. ყველა პარტია იზიარებს ვალდებულებას, რომ ეთიკის კოდექსის შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი გაეზარდა, როგორც მის რიგით წევრებში, ასევე ამომრჩეველთათვისაც გაეცნო კოდექსის ნორმები. აგრეთვე, მათთან ერთად განეხილა და შეემუშავებინა ეთიკის პრინციპების დარღვევების შემთხვევების შეტყობინებისა და მათზე რეაგირების მექანიზმები. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიები ვალდებულები არ არიან აღწერონ ზემოთ განხილული ღონისძიებების და მათი ქმედითი ნაბიჯები დეტალურად გაასაჯაროონ. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მანიტობის პროვინციაში ეთიკის კოდექსი და მისი აღსრულება დამოკიდებულია ცალკეული პარტიების მხრიდან თვითრეგულაციასა და მათ კეთილსინდისიერებაზე. აღნიშნული მიდგომა ემყარება რწმენას, რომ თავად ეთიკის კოდექსის არსებობა და პოლიტიკური პარტიების მიერ დოკუმენტის დებულებების პოპულარიზაციისა და ამომრჩევლის ინფორმირებულობის დონის გაზრდის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ეფექტურია და დადებითად მოქმედებს პარტიებს შორის კონკურენციის, მედიის მხრიდან საარჩევნო პოლიტიკური პროცესების დაკვირვებისა და საზოგადოების დაინტერესებულობასა და პროცესებში ჩართულობის კუთხით. (Thomas, 2014)

ტუნისში ხელმომწერი პოლიტიკური სუბიექტები საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ორ კვირაში ერთხელ იკრიბებიან, რათა განიხილონ ქცევის ეთიკის კოდექსის დარღვევის თითოეული ფაქტი. ისინი ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, იმ რწმენით, რომ შეძლებენ კოდექსის აღსრულების კუთხით არსებული პრობლემატური საკითხების გადაჭრას. (International IDEA, 2017)

მეინმარში მოქმედებს ინტერპარტიული მონიტორინგის კომიტეტი, რომელიც შედგება იმ პარტიებისა და კოალიციების წარმომადგენლებისგან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ეთიკის კოდექსის შემუშავებაში. კომიტეტი ინფორმაციას აგროვებს კოდექსის დარღვევის შემთხვევებზე, უმეტესწილად, სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებიდან. კომიტეტი აგრეთვე ახორციელებს მოკვლევას კოდექსის რომელი პუნქტების ირღვევა ყველაზე ხშირად და ცდილობს დაადგინოს აღნიშნულის მიზეზები. (International IDEA, 2017)

ლატვიაში საარჩევნო პროცესების ეთიკის ნორმებთან შესაბამისობას მონიტორინგს უწევს კორუფციის პრევენციისა და კორუფციასთან ბრძოლის ბიურო; ხორვატიაში, სპეციალური ეთიკის კომისიის დაკომპლექტება ხდება საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი პარტიების წერებისა და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირებისგან. კომისია აკვირდება და აფასებს საარჩევნო სუბიექტების ქცევასა და წარმოებული კამპანიების კოდექსთან შესაბამისობას. ნიგერიაში პოლიტიკური პარტიების ეთიკის კოდექსის საფუძველზე იქმნება სპეციალური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც კოდექსის პუნქტების აღსრულებას უზრუნველყოფს და მისი დარღვევის შემთხვევაში მონაწილეობას იღებს დავების განხილვებსა და გადაწყვეტაში. (მელაძე, 2020)

საქართველოში საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ეთიკის ნორმების აღსრულებისა და სამართლიანი, გამჭვირვალე პოლიტიკური კამპანიის ჩატარების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს არსებობას ან წინასაარჩევნო პერიოდში მის ფორმირებას. ამ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო

კომისია, იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საარჩევნო პროცესების კანონთან შესაბამისობის მონიტორინგს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისია მხოლოდ იმ შემთხვევაში იწყებს მოქმედებას, თუ დაინტერესებული მხარე მიმართავს საჩივრით, ან მიაწვდის ინფორმაციას დარღვევებთან დაკავშირებით და ასევე თუ მედიით ვრცელდება კონკრეტული ინფორმაცია. (პარლამენტი, 2011)

ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს ორგანოს, რომელიც უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულებასა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რაც შეეხება საარჩევნო პროცესების მონიტორინგს, აქ ცესკოს უფლებამოსილება ვრცელდება წინასაარჩევნო კამპანიის, აგიტაციის არა ნებადართულ ლოკაციებსა და დაწესებულებებზე ჩატარების, მასში არაუფლებამოსილი პირებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციული რესურსის არაკეთილსინდისიერად და ბოროტად გამოყენების შემთხვევების ზედამხედველობაზე. ასევე ცესკო აკონტროლებს სახელმწიფო თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ შეხვედრებზე პოლიტიკური აგიტაციის აკრძალვის შესრულებას. ხოლო მუნიციპალური ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის პოლიტიკური კამპანიის წარმოებისთვის საჭირო გარემოს ხელმისაწვდომობა: სააგიტაციო მასალის გავრცელების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და იმ დაწესებულებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც კანონი კრძალავს მსგავსი მასალის გავრცელებას. ყველა საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაწოდოს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია. (პარლამენტი, 2011)

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია იქმნება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ეს არის დროებითი კომისია, რომელიც ფორმირდება მორიგი საერთო არჩევნების შემთხვევაში საარჩევნო წლის

არაუგვიანეს 1 ივლისისა და მისი მანდატი მოქმედებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების დღემდე. კომისიის მთავარი მიზანია საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების მოკვლევა და შესაბამისი რეაგირება. აღნიშნულის ფარგლებში კომისია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საარჩევნო სუბიექტებთან, რომელიც მსგავსი ფაქტების შესახებ აწვდიან მას ინფორმაციას. კომისია ასევე საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ადმინისტრაციული ორგანოებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ. (პარლამენტი, 2011)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესებში მედიის როლს და მონიტორინგს უწევს მისი საქმიანობის საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებას და დარღვევების არსებობის შემთხვევაში ახდენს შესაბამისს რეაგირებას. აქ მნიშვნელოვანია პოლიტიკური რეკლამების განთავსება მედიაში და თანაბარი საეთერო დროის დათმობა არჩევნებში ჩართული პოლიტიკური სუბიექტებისთვის.

პარტიათა ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავება პოტენციურად პოზიტიური ცვლილებების მომტანი პრაქტიკა შეიძლება იყოს ქვეყნისთვის. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე ფაქტორს, კერძოდ, საინტერესოა არამხოლოდ თავად დოკუმენტის შინაარსობრივი მხარე და მასში დასმული ძირითადი აქცენტები, არამედ მეტად მნიშვნელოვანია კონტროლისა და აღსრულების მექანიზმების არსებობა შესრულების მხრივ დამატებით გარანტიებისთვის, პოლიტიკური პარტიების მხრიდან გამოხატული მკვეთრი მზაობა და პოლიტიკური ნება კოდექსის პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების თაობაზე. ასევე დიდ როლს ასრულებს თავად საზოგადოების პოლიტიკური დაკვეთა და არსებული პოლიტიკური კულტურა. დემოკრატიულ საზოგადოებებში ხელისუფლების წყარო ხალხია, აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია თავად საზოგადოების ქმედითი ნაბიჯები და მკვეთრად გამოხატული ნება, რომ საარჩევნო ეთიკური კოდექსების დოკუმენტი არათუ

შეიქმნას და პუნქტები დეტალურად გაიწეროს, ასევე მათი აღსრულება საარჩევნო ქცევის ნაწილი უნდა გახდეს.

თავი 2. 2018 წლის პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსის შემუშავებისა და აღსრულების შესახებ

წინასაარჩევნო კამპანია პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან მიზანმიმართული, კოორდინირებული და დროში ზუსტად გაწერილი ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული კანდიდატის გამარჯვებისთვის ამომრჩეველთა მაქსიმალური მხარდაჭერის უზრუნველყოფას. კამპანიის მეშვეობით პოლიტიკური სუბიექტები საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას საკუთარი საარჩევნო პროგრამებისა და პლატფორმების შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ამომრჩეველმა შეძლოს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. კამპანიის ფარგლებში, ასევე შესაძლებელია პოლიტიკური ოპონენტების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება-ანალიზი და საკუთარი უპირატესობის წარმოჩენა.

საქართველოში არსებული საარჩევნო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების კონკურენცია ხშირად სცილდება კანონის ფარგლებს და შეიცავს სიძულვილის ენის, ოპონენტთა დისკრედიტაციისა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე ზემოქმედების მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების არაერთ ფაქტს, რომელიც ასახულია ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში. აღნიშნული ფაქტი, ბუნებრივია, ნეგატიურ გავლენას ახდენს ამომრჩეველთა განწყობებსა და პოლიტიკური სუბიექტების მიმართ ნდობას ამცირებს. (მელაძე, 2020)

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან არსებით ქვაკუთხედს წარმოადგენს. არჩევნების დემოკრატიულობისა და სამართლიანობის ხარისხზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორიცაა კანონმდებლობა, საარჩევნო სისტემა, წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემო, პოლარიზაციის დონე, საარჩევნო პროგრამები, პოლიტიკური სუბიექტების რიტორიკა, ოპონენტების დისკრედიტაცია და ნეგატიური კამპანიები და ა.შ მნიშვნელოვან როლს

ასრულებს მასობრივი ინფორმაციების საშუალებები, რომელთაც პოლიტიკური სუბიექტები იყენებენ ამომრჩევლებთან კომუნიკაციის მიზნით, რათა შეძლონ საარჩევნო პროგრამების მასშტაბურად გავრცელება და ფართო აუდიტორიისთვის მათი გაცნობა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მედია საშუალებებისა და სოციალური ქსელების გავლენა.

კვლევების თანახმად, საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ ტელევიზიების მეშვეობით იღებს ახალ ამბებს. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020) მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გარემო მეტად მრავალფეროვანია, ახალი ამბები მაინც პოლარიზებულად შუქდება, რადგან მაუწყებელთა დიდი ნაწილი კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთანაა აფილირებული და შესაბამისად, იჩენს მიკერძოებულობას. „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთის უწყებათაშორისმა კომისიამ“ გამოავლინა ტელეკომპანიების მხრიდან საკუთარი რესურსის პოლიტიკური სუბიექტების დისკრედიტაციისთვის გამოყენების არაერთი შემთხვევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტელევიზიები კანდიდატების წინააღმდეგ მიმართულ „შავ პიართან“ ერთად აგრეთვე ეწეოდნენ სხვა კონკურენტი ტელეკომპანიების დისკრედიტაციასაც. (კომისია, 2020)

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიები რჩება ინფორმაციის გავრცელების მთავარ წყაროდ, ბოლო წლებში საკმაოდ გახშირდა სოციალურ ქსელების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, განსაკუთრებით 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. აღნიშნულ პროცესი უფრო ინტენსიური გახდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, რომელიც ახალი COVID-19 პანდემიის ფონზე გაიმართა. Covid-19 პანდემიის საწინააღმდეგო რეგულაციების დაცვის მიზნით, პოლიტიკურმა სუბიექტებმა უარი თქვეს კამპანიის წარმართვის ტრადიციულ მეთოდებზე, ერიდებოდნენ ამომრჩეველთან პირდაპირ კომუნიკაციას, რისი კომპენსირებისთვისაც კამპანიას სოციალური ქსელების მეშვეობით აწარმოებდნენ. შედეგად სოციალურ ქსელებში იმატა პოლიტიკური სუბიექტების მხარდამჭერ და ასევე ოპონენტების მადისკრედიტირებელი ინფორმაციების შემცველმა გვერდებმა.

როგორც ყველაზე პოპულარი პლატფორმა საქართველოში ძირითადი პოლიტიკური გზავნილებიც ფეისბუქზე ვრცელდება. სწორედ ის იქცა დეზინფორმაციისა და დისკრედიტაციული კამპანიების კერად... დღესდღეობით და ბოლო რამდენიმე არჩევნებია, მთავარ პრობლემად რჩება ფეისბუქზე წარმოებული ანონიმური კამპანიები, რომლებიც ოპონენტების დისკრედიტაციას დეზინფორმაციული და დისკრედიტაციუი გზავნილებით ეწევიან. მსგავსი კამპანია ძირითად, ოპოზიციური პარტიების საწინააღმედგ და მმართველი გუნდის მხარდასაჭრად ან პირიქით ხორციელდება. მათი შინაარსი გამცდარია ეთიკურ ნორმებს და უხამსი ხასიათისაა. (რესპოდენტი #5. 17.06.2022)

აღსანიშნავია ონლაინ მედია სააგენტოები, რომლებიც ონლაინ სივრცეში ქმნიან ალტერნატიულ ინფორმაციას, რაც როგორც წესი, კონკრეტული პოლიტიკური პარტიისა თუ სუბიექტის ირგვლივ დადებითი კონტექსტის შექმნასა და მისი კონკურენტების დისკრედიტაციასა და მათ წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას ემსახურება. მათი გაშიფვრა და ამოცნობა რიგ შემთხვევებში რთულია, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, მომხმარებელს, ვიზუალური გაფორმებით, სახელწოდებითა და საკუთარ ონლაინ პროფილებზე განთავსებული ინფორმაციით სანდოობის ილუზიას უქმნიან. (ISFED, 2019)

ონლაინ მედია პლატფორმები, სოციალური ქსელები აერთიანებს უამრავ მომხმარებელს სხვადასხვა სეგმენტიდან, შესაბამისად, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკურ სუბიექტებს საშუალება ეძლევათ ამომრჩეველთა ფართო სპექტრს მიაწოდოს ინფორმაცია საარჩევნო პროგრამების, სამომავლო განვითარების ხედვებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული სივრცე აქტიურად გამოიყენება პოტენციური მხარდამჭერებისა და ამომრჩევლის რაოდენობის შენარჩუნება-გაზრდისთვის. მართალია, საარჩევნო პოლიტიკური კამპანიის წარმოება სოციალური ქსელების მეშვეობით დროისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის კარგი საშუალება იყოს, მაგრამ მისი მართვა და კონტროლი ინფორმაციის გავრცელების კუთხით კონტენტის შეუცვლელად განსაკუთრებით ბევრ სირთულესთანაა

დაკავშირებული. ამასთან, სოციალურ მედიაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიები შეიცვას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საფრთხეებს. კერძოდ, ინსტიტუციური, აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების რისკები საკმაოდ მაღალია. როგორც სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებშია აღწერილი, სოციალური ქსელების მეშვეობით აგიტაციის პროცესებში სამუშაო საათებში საჯარო მოხელეების ჩართულობის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. ასევე შესაძლებელია ბიუჯეტის თანხებით დაფინანსებული მადისკრედიტირებელი სააგიტაციო მასალის გავრცელება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ სოციალური ქსელების მეშვეობით.

> *ანონიმური კამპანიების წარმოებით პოლიტიკური პარტიებს შესაძლებლობა აქვთ გვერდი აუარონ როგორც საარჩევნო კოდექსით დადგენილ კამპანიის შეზღუდვებს, ასევე ნებისმიერი ტიპის შეთანხმებებს, როგორიცაა ქცევის კოდექსი.* (რესპოდენტი #5. 17.06.2022)

აღსანიშნია პოლიტიკური აგიტაციის დაფიქსირებული შემთხვევები იმ ადამიანების სოციალური ქსელების პირად გვერდებზე, რომელთა წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა და აგიტაცია კანონით ეკრძალებათ. მოცემულ ფაქტებთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციას რეაგირება არ მოუხდენია, რადგან სოციალური ქსელების პირად გვერდებზე პოლიტიკური განაცხადების ან მსგავსი კონტენტის განთავსებას საარჩევნო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა აგიტაციის ფორმად.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ასევე გავლენას ახდენს ელექტორატის პოლიტიკური გემოვნებისა და პოლიტიკური სუბიექტების მიმართ კონკრეტული დამოკიდებულებებისა და მათთან მიმართებით ასოციაციების ჩამოყალიბებაში. მედია საშუალებები გამოიყენება პოლიტიკური მანიპულაციებისა და პროპაგანდისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია სოციალური ქსელები, რომელიც ამავდროულად მზარდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებში. აღნიშნული სეგმენტი კი

შესაძლოა უფრო მოწყვლადნი აღმოჩნდნენ მიღებული ინფორმაციის გაფილტვრისა და ანალიზის საკითხში. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად საინტერესოა თუ რატომ ირღვეოდა ეთიკის პრინციპები ინტენსიურად, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსების როგორც 2018, ასევე 2020 წლის შეთანხმებულ დოკუმენტებში გამოყოფილია პუნქტები, რომელიც ზღუდავს და დაუშვებლად მიიჩნევს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ამომრჩეველთა თავისუფალ ნებაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობებს მუქარების, დაშინებისა თუ მოსყიდვის ხერხებით; კოდექსი აგრეთვე ეწინააღმდეგება მედია სივრცის არაკეთილსინდისიერად გამოყენების პრაქტიკას, რაც გულისხმობს და ძირითადად ეხება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართულ დისკრედიტაციის კამპანიებს და მათ შესახებ ყალბი, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებას, სიძულვილის ენისა და ე.წ „ბოტების“ ქსელის გამოყენებას.

2.1 2018 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური გარემოს ზოგადი მიმოხილვა და პოლიტიკურ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის ანალიზი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები არსებითი და ქვეყნისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ეს იყო ბოლო არჩევნები, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი არჩეულ იქნა 6 წლით, ხალხის მიერ, საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების გზით. შესაბამისად განსაკუთრებით საინტერესო იყო თუ როგორ წარიმართებოდა წინასაარჩევნო პროცესები.

გასული 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მმართველმა პარტიამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. არჩევნებიდან რამდენიმე თვეში მთავარი ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალა და 21 პარლამენტის დეპუტატმა პარტია დატოვა და შექმნა „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“. 2017 წლის

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები თითქმის ყველა ოლქში გამარჯვებით: 64 საკრებულოდან 63-ში უმრავლესობა მოიპოვა და გაიმარჯვა 64-დან 63 მერის არჩევნებში. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა და რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ უარი განაცხადა მონაწილეობაზე, რის მიზეზადაც პრეზიდენტის შეზღუდულ უფლებამოსილებას ასახელებდნენ. მმართველმა პარტიამ თავის მხრივ კანდიდატი არ დაასახელა, თუმცა განაცხადა, რომ მხარს უჭერდა დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტის ინსტიტუტის, როგორც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ზეპარტიული არბიტრის სიმბოლურ მნიშვნელობაზე ხაზგასმით მოტივით. დანაწევრებულმა საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ ცალ-ცალკე კანდიდატები დაასახელეს. ამასთან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცხრა პატარა ოპოზიციურ პარტიასთან ერთად შექმნა პოლიტიკური კოალიცია „ძალა ერთობაშია“ და პრეზიდენტობის საერთო კანდიდატად გრიგოლ ვაშაძე დაასახელეს. „ევროპულმა საქართველოს“ კანდიდატი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იყო. (საქართველოში, 2018)

პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ოპონენტების წინააღმდეგ ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციების გავრცელება. უნდა აღინიშნოს სახელისუფლებო პარტიის მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებზე მასშტაბური თავდასხმები და მადისკრედიტირებელი ინფორმაციების გავრცელება სოციალურ ქსელებსა თუ სხვა მედია საშუალებებში. ასევე, წინასაარჩევნო პროცესებს თან სდევდა ფარული მოსმენების შედეგად პირადი ჩანაწერების გავრცელება, რაც „ომეგა ჯგუფსა“ და ტელეკომპანია „იბერიას“ საქმეებთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულმა ფაქტმა საზოგადოებაში დიდი რეზონანსი და აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან ჩანაწერებით გავრცელებული ინფორმაცია ხელისუფლების მაღალჩინოსნებს სავარაუდო კორუფციულ გარიგებებში, ბიზნესზე ზეწოლასა და სხვა კრიმინალურ დანაშაულებში სდებდა ბრალს. (საია, საქართელო, & ISFED., 2018)

უშუალოდ კენჭისყრამდე სამი კვირით ადრე ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და შვეიცარიის სახელმწიფოს შუამავლობით არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები შეთანხმდნენ და ხელი მოაწერეს „ეთიკის პრინციპებს“, რათა საარჩევნო გარემო ყოფილიყო მშვიდობიანი და ძალადობრივი ელემენტებისგან დაცლილი. კანდიდატები აღიარებდნენ კანონის უზენაესობას და მზაობას გამოხატავდნენ სახელმიწიფოსა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით წარემართათ საარჩევნო კამპანიები დისკრიმინაციის ყოველგვარი სახის, ქსენოფობიისა თუ სიძულვილის ენის გამოყენების გარეშე. როგორც ცესკოს მაშინდელმა თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ განაცხადა, ეს იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც თითქმის ყველა საპრეზიდენტო კანდიდატმა შეთანხმებას მიაღწია და დოკუმენტზე ხელისმოწერით დაადასტურა საარჩევნო ეთიკის პრინციპების დაცის გარანტიები. აღნიშნული ფაქტი უდავოდ ქვეყანაში არსებული საარჩევნო კულტურის გაუმჯობესებისა და გაძლიერებისკენ იყო მიმართული. (მჭედლიშვილი, 2018)

2018 წლის პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსი საკმაოდ მცირე მოცულობის დოკუმენტია, სადაც გამოყოფილია მხოლოდ 9 მთავარი პუნქტი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კამპანიებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხებს უსვამს ხაზს, როგორიცაა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ამომრჩეველთა მოსყიდვა-დაშინება, სიძულვილის ენის გამოყენება და ცილისმწამებლური, ცრუ ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა და ძალადობრივი ქმედებებისა და შესაბამისი მოწოდებების პრაქტიკის დაუშვებლობა. კვლევის ფარგლებში გამოკითული რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ პოლიტიკური პარტიების მხრიდან ხელმოწერილი დოკუმენტების უგულვებელყოფა და ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული შავი კამპანიების წარმოება, პირველ რიგში პარტიის მხარდამჭერი ამომრჩევლის ნების უგულვებელყოფა და მათი დისკრედიტაციაა. მართალია დოკუმენტი არ წარმოადგენს სამართლებრივ ვალდებულებას და მისი აღსრულება არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, თუმცა შეთანხმებულ დოკუმენტზე

ხელის მოწერა გარკვეულ მორალურ და ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს პოლიტიკური სუბიექტებისთვის, რომელიც პასუხისმგებელნი არიან როგორც საკუთარი ვიწრო ელექტორატის, ასევე სახელმწიფოს წინაშეც.

„ეთიკის პრინციპები“ მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო საარჩევნო გარემოსა და მიმდინარე პროცესების სამართლიანობის, დემოკრატიულობისა და პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირების შესაძლებლობის კუთხით. თუმცა, მიუხედავად კოდექსში გაწერილი პუნქტებისა და ხელმომწერი საპრეზიდენტო კანდიდატების თანხმობისა, მაინც გამოიყოფოდა ეთიკის პრინციპების დარღვევისა და უგულებელყოფის შემთხვევები თითქმის ყველა კანდიდატის მხრიდან, რაც ასახულია საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებსა თუ რეკომენდაციებში.

2.2 ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, როგორც არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მექანიზმი

საარჩევნო კანონმდებლობაში 2013 წელს შევიდა ცვლილებები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, მიუხედავად ამისა ადმინისტრაციული და სახელმწიფო რესურსების გამოყენებისგან თავის შეკავება საქართველოში ჩატარებული არჩევნების სამართლიანობის და დემოკრატიულობისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე გამოწვევას წარმოადგენს.

არჩევნების სამართლიან და თანასწორუფლებიან გარემოში ჩატარებისთვის აუცილებელია ამომრჩეველს მიეცეს ყოველგვარი გარე ზეწოლისგან თავისუფალი, ნებაყოფლობითი და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება. ამისთვის საჭიროა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემთხვევები მაქსიმალურად იყოს შეზღუდული და აღკვეთილი. ვინაიდან ეს უკანასკნელი უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მმართველ პარტიას, რომელსაც სახელმწიფო რესურსებზე მიუწვდება ხელი, რაც პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არღვევს საარჩევნო გარემოს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპს და ეწინააღმდეგება როგორც საარჩევნო კანონმდებლობას, ასევე პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის პრინციპებს. სწორედ

ამიტომ, 2018 წლის ეთიკის პრინციპები ითვალისწინებს და უზრუნველყოფს ამომრჩეველზე ზეწოლისა მექანიზმების გამოყენების აღკვეთის მუხლებს წინასაარჩევნო პერიოდში. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად ეთიკის კოდექსსა და კანონმდებლობაში გაწერილი მუხლებისა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების არაერთი ფაქტი აღინიშნება ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში.

> *მათთვის (მმართველი პარტიისთვის) პრიორიტეტია არჩევნებში გამაჯვება და არა ჯანსაღი, კონკურენტული და თანასწორი საარჩვნო გარემოს უზრუნველყოფა.* (რესპოდენტი #9. 21.06.2022)

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაფიქსირდა ინსტიტუციური და აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების არაერთი ფაქტი. აღნიშნული გულისხმობს საარჩევნო პროცესებში სახელმწიფო ხარჯებით დაფინანსებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსის გამოყენებას კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ ან თუნდაც საწინააღმდეგოდ. 2018 წლის არჩევნების შემთხვევაში აქტიურად და ინტენსიურად მიმდინარეობდა საჯარო მოხელეების ჩართვა აგიტაციის პროცესში, როგორც პირდაპირ ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით. საარჩევნო კოდექსი არ იძლეოდა აგიტაციის ცნების ზუსტ განსაზღვრებას და მასში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობებს. იგულისხმება, ელექტრონული ონლაინ საშუალებებით საჯარო მოხელეთა მხრიდან აგიტაცია სახელისუფლებო პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ. აღნიშნული მოცემული პრაქტიკა ასევე წარმოადგენდა ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მაგალითს, ვინაიდან ადამიანური რესურსის, საჯარო მოხელეების გამოყენება ხდებოდა კონკრეტული კანდიდატისთვის მხარდაჭერების უზრუნველყოფისა და სოციალურ ქსელებში მისი „დადებითი სახის“ შექმნის მცდელობებისთვის. მოცემულ ფაქტებზე საარჩევნო ადმინისტრაცია არ ახდენდა შესაბამისს რეაგირებას, რადგან სოციალური ქსელების სააგიტაციო საშუალებად გამოყენებას შესაძლებლობებს არ ცნობდა კანონმდებლობა. იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილმა სამართლიანი და თავისუფალი

არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ კი გამოსცა ორი არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია სახელმწიფო მოხელეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, მათ შორის საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, თუმცა ამ ფაქტს შემდგომი რეაგირება არ მოჰყოლია, რის გამოც სადამკვირვებლო მისიები კომისიის პოლიტიკური მიკერძოებულობისა და არაეფექტური მუშაობის შესახებ აქტიურად აფიქსირებდნენ უკმაყოფილებას. (საქართველოში, 2018)

ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მხრივ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში (სსიპ და ააიპ-ების თანამშრომლები, სკოლებისა და ბაღის მასწავლებლები და სხვა) დასაქმებული პირების ჩართვა წინასაარჩევნო კამპანიაში და მმართველი პარტიის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე დასწრება. ასევე უნდა აღინიშნოს თავად ამ პირების მიერ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაციასა და სხვადასხვა სახის კამპანიურ აქტივობებში მონაწილეობა, როგორიცაა, მაგალითად, ამომრჩეველთან შეხვედრებზე დასწრება. მაშინ როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები გარკვეული ფორმით წარმოადგენენ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებს და მათი საარჩევნო კამპანიებში ჩართულობა შესაძლოა არ ყოფილიყო მათი თავისუფალი ნების გამოხატულება და ისინი შესაძლებელია ყოფილიყვნენ რაიმე სახის ზეწოლის ქვეშ, სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ საფუძვლიან ვარაუდებს, რომ არსებობდა რისკები აღნიშნული ფაქტებით საარჩევნო კოდექსის დარღვევის შესახებ, რომელშიც საუბარია სამსახურებრივად ან/და სხვაგვარად დაქვემდებარებული პირების ისეთ საქმიანობაში ჩართვაზე, რომელიც ეხმარება კონკრეტული კანდიდატის არჩევას. (Georgia., 2018) ამასთან შეინიშნებოდა სახელისუფლებო პარტიის მაღალჩინოსანთა მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. მართალია, კანონმდებლობა არ კრძალავს და არ ზღუდავს პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან საარჩევნო პროცესებში ჩართვასა და აგიტაციას, მაგრამ აღნიშნული ფაქტი არ არის მიზანშეწონილი და სასურველი პრაქტიკა, რადგან ირღვევა საარჩევნო გარემოს თანასწორობის პრინციპი და

ასევე ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის ზღვარის არსებობის მნიშვნელობას.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად წერდნენ საჯარო მოხელეებზე ზეწოლის ფაქტების შესახებ, როდესაც მათ აიძულებდნენ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის უზრუნველეყოთ მხარდაჭერების მობილიზება, ეწარმოებინათ ე.წ „ამომრჩეველთა სიები“ და უშუალოდ კენჭისყრის დღეს მხარდაჭერის გარანტიებიც მიეღოთ. დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავს იკავებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ვინაიდან, ფიქრობდნენ, რომ აღნიშნული საჯარო მოხელეებისა და მათი ოჯახის წევრების შრომით უფლებებს ემუქრებოდა გარკვეული საფრთხეები სამსახურებრივად ზემდგომი პირების მხრიდან. მოცემული ფაქტები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ვინაიდან პოლიტიკური ნიშნით თანამშრომლების გათავისუფლება და მისი სამართლებრივი დევნა წარმოადგენს აღსრულებით ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევას.

გამოწვევას წარმოადგენდა საარჩევნო კომისიების, საუბარია საოლქო და საუბნო დონეებზე, დაკომპლექტების წესი. მნიშვნელოვანია კომისიებში რომელიმე პოლიტიკური პარტიის უპირატესობა არ იკვეთებოდეს და პოლიტიკური წარმომადგენლობა თანაბარი და დაბალანსებული იყოს. კომისიების პროფესიული ნიშნით არჩეული წევრები პოლიტიკური მიკერძოებულობისა და გავლენებისგან თავისუფალნი უნდა იყვნენ. ამ კუთხით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე არაერთი შემთხვევა გახდა საჯარო, რომლის მიხედვითაც მმართველი პარტია აქტიურად მონაწილეობდა და გავლენას ახდენდა პროფესიული ნიშნით საარჩევნო კომისიების წევრების არჩევასა და დაკომპლექტებაში. (Georgia T. I., ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის., 2018) აღნიშნული პრაქტიკა წინასაარჩევნო პროცესების და კენჭისყრის პროცედურების კანონთან შესაბამისობით კუთხით არაერთ კითხვას წარმოშობს, შედეგად საეჭვო ხდება არჩევნების საბოლოო შედეგების ავთენტურობა და ლეგიტიმურობა.

მიუხედავად იმისა რომ, წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური ან/ადგილობრივი ბიუჯეტში ცვლილება არ დაფიქსირებულა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობას დაარღვევდა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მაინც გამოიკვეთა ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მცდელობები. კერძოდ, აღსანიშნავია მმართველი პარტიის დაპირებები რამდენიმე მილიონიანი სოციალური პროექტების განხორციელების შესახებ, რომელსაც აშკარა სამიზნე ჯგუფი და აუდიტორია ჰყავდა და მათი მხარდაჭერის მიღების მიზანს ემსახურებოდა. ასევე უნდა ვახსენოთ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ საქართველოს მთავრობისა და ფონდი „ქართუს“, რომელიც „ქართული ოცნების“ მაშინდელი თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში იყო, ერთობლივი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც საქართველოს 600.000 მოქალაქეს უნულდებოდა საკრედიტო ფულადი ვალდებულებები. მოცემული ფაქტი ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევად მიიჩნევა, რადგან კერძო კომპანიასთან ერთად პროგრამაში ჩართული იყო მმართველი პარტია და მიზნად ისახავდა მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილისთვის საარჩევნო ხმების უზრუნველყოფას მეორე ტურში გამარჯვებისთვის. მსგავსი მასშტაბური სოციალური პროექტების ინიცირება ან განხორციელება საარჩევნო პერიოდში გავლენას ახდენს ამომრჩეველთა თავისუფალ ნებაზე, არათანაბარ გარემო პირობებში აყენებს საარჩევნო სუბიექტებს და ამასთან ნეგატიურად აისახება მათ შორის სამართლიან და ჯანსაღ კონკურენციაზე. (Georgia T. I., ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის., 2018)

2.3 სიძულვილის ენა და პოლიტიკური დისკრედიტაციის კამპანიები ციფრულ მედია სივრცეში (2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები)

ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებით საქართველოს პრეზიდენტის ბოლო პირდაპირი არჩევნების პირველი ტური მეტნაკლებად მშვიდ გარემოში წარიმართა. მედია, მართალია პოლარიზებული იყო და

კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მიმართ მიკერძოებულობასა და სიმპათიებს გამოხატავდა, მაგრამ ამასთან მაინც პლურალისტური იყო და ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდა არაერთგვაროვანი ინფორმაცია მიეღო. პირველი ტურის განმავლობაში აღსანიშნავია მმართველი პარტიის ლიდერების მხრიდან უპრეცედენტოდ აგრესიული და პერსონალური მისამართით შეურაცხმყოფელი განცხადებების გავრცელება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რაც გაგრძელდა მეორე ტურშიც, თუმცა ნაკლები ინტენსივობითა და რიტორიკით. (NDI, 2018)

2018 წელს მოსახლეობისთის ინფორმაციის ძირითად წყაროს ტელევიზია წარმოადგენდა, სოციალური ქსელები და ონლაინ მედია ნაკლებად გამოყენებად და არც თუ ისე აქტიურ საინფორმაციო წყაროებად მიიჩნეოდა. ტელეკომპანიებს შორის ორი სატელევიზიო არხი „იმედი“ და „რუსთავი 2“ დომინირებდა. ყველა კერძო ტელევიზია იჩენდა პოლიტიკური პარტიების მიმართ მიკერძოების გარკვეულ ხარისხს. თუმცა, თუკი 2016-17 წლებში მედიის მიკერძოებულობა გამოიხატებოდა კანდიდატების დადებით კონტექსტში გაშუქებით, 2018 წელს პრაქტიკა შეიცვალა და მოიცავდა როგორც კონკრეტული კანდიდატის პოზიტიურ ჭრილში გაშუქებას, ასევე ოპონენტების უარყოფითი კუთხით წარმოჩენასაც. (OSCE/ODIHR, 2018)

მწვავე რიტორიკა და კანდიდატების მხრიდან ერთმანეთის მისამართით გამოყენებული სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები, ფაქტობრივად, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დამახასიათებელი ნიშა გახლდათ. მმართველი პარტიის მხარდაჭერილი კანდიდატის მიმართ ხშირად იყენებდნენ „მოღალატის“ სტატუსს და ამომრჩევლებს პირდაპირ მოუწოდებდნენ მისთვის მხარი არ დაეჭირათ, რადგან აღნიშნული ქმედება ქვეყნის ღალატის ტოლფასი იყო და საგარეო კურსთან მიმართებითაც გამოხატავდა ამომრჩევლის დამოკიდებულებას, ვინაიდან სალომე ზურაბიშვილი ცნობილი იყო 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ პროვოკაციული და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ბრალდების განცხადებების გავრცელებით, როცა საქართველოს ადანაშაულებდა რუსეთთან ომის წამოწყებაში. (ქოქოშვილი, 2018) პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე კი ყოფილი ხელისუფლების მმართველობის 9 წელს ჰოლოკოსტს

ადარებდა და აცხადებდა, რომ აღნიშნული დავიწყებას არასდროს მიეცემოდა. თავად ზურაბიშვილი კი გამოირჩეოდა თურქოფობიული განცხადებებით. (გამჭვირვალობა-საქართველო, 2018) მართალია მან ეთიკის პრინციპების საბოლოო ვერსიაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, მაგრამ მისი დამოკიდებულება იმით ახსნა, რომ გარკვეული საარჩევნო სუბიექტები აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმებულ პუნქტებს არ დაიცავდნენ და აუცილებლად დაარღვევდნენ. შესაბამისად, როგორც ჩანს საკუთარი განცხადებებით თავისივე არგუმენტს ამყარებდა, მაშინ როდესაც არაერთხელ განუცხადებია, რომ მის მიმართ დისკრედიტაციის კამპანიები და სიძულვილის ენა საკმაოდ დიდი მასშტაბით გამოიყენებოდა.

პირველი ტურის დასრულების შემდეგ მეორე ტურში გადასული ორი კანდიდატი, მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი სალომე ზურაბიშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე კიდევ უფრო აქტიურ კამპანიაზე გადავიდნენ და ერთმანეთის მიმართ დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი რიტორიკაც გაიზარდა. სალომე ზურაბიშვილის კამპანიას სათავეში „ქართული ოცნების“ ლიდერები ჩაუდგნენ. ქვეყნის მასშტაბით ზურაბიშვილის ნაცვლად ბანერებზე სწორედ „ქართული ოცნების“ სახეები გამოჩნდა და ამასთან, მათი მხრიდან აქტიურად ხდებოდა მოსახლეობისთვის ყოფილი ხელისუფლების „სისხლიანი რეჟიმის“ შეხსენება, რაც შეიცავდა დაუფარავ და პირდაპირ პოლიტიკური შინაარსის გზავნილს, რომ გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძის გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანაში ძველი რეჟიმი დაბრუნდებოდა. აღნიშნული ფაქტი კი ამომრჩევლის ემოციებით მანიპულირების ნიშნების მატარებელი იყო. (NDI, 2018) ამას ემატებოდა ე.წ „სისხლიანი ბანერების“ გავრცელება წარწერებით „არა ნაცებს, არა ბოროტებას!“. აღნიშნულ ბანერებზე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული პირები ნეგატიურ ჭრილში იყვნენ წარმოჩენილები. ეს შემთხვევაც ემსახურებოდა იმავე მიზანს - მოსახლეობის დაშინებას და მათი ემოციების მართვას „ენმ“-ს ხელისფლებაში დაბრუნებითა და მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლით, რაც გამოიწვევდა ქვეყანაში არეულობას და სისხლიანი რეჟიმის დაბრუნებას. ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ მეორე ტურის საარჩევნო კამპანია

აგებული იყო შიშზე და სავსე იყო საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულებების გაღვივება-გამძაფრებაზე დაფუძნებული მესიჯ ბოქსებით. გრიგოლ ვაშაძეს მოიხსენიებდნენ „პუტინის პროექტად“. საპირწონედ, ოპოზიცია მის მხარდამჭერებთან ერთად სალომე ზურაბიშვილსგან „მოღალატისა“ და „მატყუარა“ ცდილობდნენ.

წინასაარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვან ელემენტად იქცა სოციალურ ქსელებში წარმართული ნეგატიური კამპანია, რომელიც, როგორც წესი, კონკრეტული კანდიდატის დისკრედიტაციის მცდელობებით ხასიათდება. სოციალურ სივრცეში დისკრედიტაციის მთავარ სამიზნეებს წარმოადგენდნენ სალომე ზურაბიშვილი, გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე.

> *ამ გვერდების აშკარად პოლიტიკურ პარტიებთან კავშირებისდა მიუხედავად, გაცხადებული არ არის თუ ვინ დგას მათ უკან. შესაბამისად, არცერთი პოლიტიკური პარტია მათზე პასუხისმგებლობას არ იღებს.* (რესპოდენტი #2. 17.06.2022)

სალომე ზურაბიშვილის მიმართ ხშირად იწერებოდა მის რუსეთთან კავშირსა და სიმპათიებზე. აგრეთვე ხაზგასმა ხდებოდა კანდიდატის ქართული ენის ცოდნაზე და ამასთან აქტიურად განიხილავდნენ მის პირად ურთიერთობებს საკუთარ ოჯახის წევრებთან. (საზოგადოება., 2018)

რაც შეეხება გრიგოლ ვაშაძეს, მისი ფოტოების გვერდით ხშირად ჩნდებოდა სისხლიანი ვიდეომასალა და აგრეთვე ციხეებში პატიმართა სავარაუდო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის თემატიკასთან დაკავშირებული ფოტომასალა. აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენდა მცდელობას, პრეზიდენტობის კანდიდატი დაეკავშირებინათ ადამიანის უფლებების დარღვევისა და შეურაცხყოფის ფაქტებთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვაშაძემ ტელევიზიასთან ერთ-ერთ ინტერვიუში საჯაროდ განაცხადა, რომ აპირებდა იმ პირების შეწყალებას, რომელიც ზემოთ აღნიშნული დანაშაულებრივი ფაქტების გამო იხდიდნენ სასჯელს. ამ შემთხვევაში საუბარია სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიას და სხვა მსჯავრდებულების შეწყალებაზე. ამასთან, კანდიდატ

ზურაბიშვილის მსგავსად ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ვაშაძის რუსეთთან მიმართებით სიმპათიების წარმოჩენის მცდელობები და კგბ-სთან და რუსულ სპეცსამსახურებთან მისი სავარაუდო კავშირები. აქცენტი კეთდებოდა ვაშაძის მიერ რუსეთის მოქალაქეობის ქონაზე, მაშინ როდესაც მან რვა თვით შეინარჩუნა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის პარალელურად. (საზოგადოება., 2018)

დავით ბაქრაძისა და „ევროპული საქართველოს“ დისკრედიტაციის ორი სხვადასხვა მიმართულება იყო დომინანტური. პირველი, უარყოფდა „ევროპული საქართველოს“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ გამოყოფის ავთენტურობას და ამტკიცებდა მათ უწყვეტ კავშირებზე, როგორც პარტიასთან ასევე მიხეილ სააკაშვილთან. მეორე კი ბაქრაძესა და მის წარმდგენ პარტიას „ქართული ოცნების“ სატელიტ პოლიტიკურ ძალად წარმოაჩენდა, რომელიც მმართველ პარტიასთან კოლაბორაციაში იყო და მასთან შეთანხმებით მოქმედებდა. (საზოგადოება., 2018)

სხვა კანდიდატები, დავით უსუფაშვილი, შალვა ნათელაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე სახელდებოდნენ როგორც დაბალი მხარდაჭერის მქონე კანდიდატებად. იყო შალვა ნათელაშვილის კანდიდატურის „არასერიოზული“ კუთხით წარმოჩენის მცდელობები და აგრეთვე ჯაფარიძის მიმართ განხორციელებული მადისკრედიტირებელი ტალღები განპირობებული იყო მისი დამოკიდებულებებით მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაციისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებით, რომლის გამოც მას „მოღალატედაც“ მოიხსენიებდნენ.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდიდან სოციალური ქსელები საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცა პოლიტიკური სუბიექტებისთვის საარჩევნო კამპანიის წარმართვისა და ოპონენტთა დისკრედიტაციის კუთხით. კანდიდატები არ ერიდებოდნენ სატელევიზიო ინტერვიუებისა თუ სოციალური ქსლების მეშვეობით ოპონენტების წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი ან/და სიძულვილის

ენის შემცველი ლექსიკონის გამოყენებას. მაშინ როდესაც მათ ერთხმად უარყვეს და დაგმეს პოლიტიკური დისკრედიტაციების კამპანიების გამოყენების პრაქტიკა, ზემოთ აღნიშნული ფაქტები და „ეთიკის პრინციპების“ დარღვევის შემთხვევები განსაკუთრებით მძიმე აღსაწერია.

თავი 3. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსის შემუშავებისა და აღსრულების შესახებ

3.1 2020 წლის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოს ზოგადი მიმოხილვა და პოლიტიკურ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის ანალიზი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი პოლიტიკური დაძაბულობისა და დაპირისპირებით გამოირჩეოდა. 2019 წლის 20 ივნისის ე.წ „გავრილოვის ღამის“ მოვლენების შემდგომ, მთავრობის გადადგომისა და რიგგარეშე სრულიად პროპორციული სისტემით საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, საკმაოდ ხანგრძლივი და მძლავრი საპროტესტო გამოსვლები მოყვა. 2019 წლის 28 ივნისს მმართველმა პარტიამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირება მოახდინა პარლამენტში, თუმცა ცვლილების განხორციელებისთვის საჭირო მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, რადგან პარლამენტის მოქმედმა მაჟორიტარმა დეპუტატებმა უარი განაცხადეს ინიციატივის მიღებაზე და დაიწყეს კონტრკამპანიის წარმოება. აღნიშნული მოვლენების შემდგომ, საზოგადოების მხრიდან საპროტესტო ტალღები განახლდა და მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის უთანხმოებამ კიდევ უფრო იმატა. საბოლოოდ, 2020 წლის 8 მარტს პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებას. აღნიშნული წინადადების საფუძველზე საარჩევნო სისტემაში იზრდებოდა პროპორციული ელემენტი, კერძოდ, პარლამენტის 150 წევრიდან 120-ის არჩევა მოხდებოდა პარტიათა პროპორციული სიების საფუძველზე, ხოლო დანარჩენი 30 წევრი აირჩეოდა მაჟორიტარული წესის მიხედვით. აგრეთვე, შეთანხმება ითვალისწინებდა საარჩევნო ბარიერის 1%-მდე დაწევას, რასაც პარტიათა შორის კონკურენცია უნდა გაეზარდა და უნდა უზრუნველეყო პარლამენტის მრავალპარტიულობა. კონსტიტუციის მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნებოდა უკანასკნელი არჩევნები, რომელიც

შერეული სისტემით წარიმართებოდა, ვინაიდან 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით 2024 წლიდან ინერგება სრულიად პროპორციული საარჩევნო სისტემა.

2017 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალა და წამოსულმა დეპუტატებმა ახალი პარტია „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ შექმნა, რომელიც მაშინდელი მოწვევის პარლამენტში ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია გახლდათ. 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მმართველ პარტიას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ხუთი პატარა პოლიტიკური პარტიისგან შემდგარ კოალიცია „ძალა ერთობაშიას“, „ევროპული საქართველოს“ და „პატრიოტთა ალიანსთან“ ერთად აქტიურობით გამოირჩეოდა „ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი“ და ახლად ჩამოყალიბებული „ლელო საქართველოსთვის“, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“, „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“. ოპოზიციური ლიდერების არაერთი განცხადების მიუხედავად, რომ მათ საერთო მიზანი იყო „ქართული ოცნების“ მმართველობის ცვლილება და მრავალპარტიული პარლამენტის დაკომპლექტება, ოპოზიციურ პარტიებს შორის მაინც შეინიშნებოდა დაქსაქსულობა. (საქართველო, 2021)

2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები გაიმართა მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისა და ამასთან გლობალური COVID-19-ის პანდემიის ფონზე. შექმნილი არაერთი გამოწვევის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კოდექსის შესაბამისად წარმართავდა საარჩევნო პროცესებს. ცესკო აქტიურად იყენებდა მედია საშუალებებს ამომრჩეველთა ცნობიერების გაზრდისა და COVID-19 გავრცელების თავიდან არიდებისთვის დაწესებული ახალი რეგულაციების შესახებ სწორი და ამომწურავი ინფორმაციის გავრცელების მიზნით. ცენტრალური საარჩევნო კომისია, სხვა ჩართულ მხარეებთან ერთად და მათი მხარდაჭერით, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) და შვეიცარიის სახელმწიფო, გახდა ინიციატორი პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსის შემუშავებისა, რომელიც უზრუნველყოფდა საარჩევნო პროცესების სამართლიან, მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში წარმართვას,

აგრეთვე მოუწოდებდა 40 ხელმომწერ პარტიას დაეცვათ კანონის უზენაესობა და უარი ეთქვათ ადმინისტრაციული რესურსის, ძალადობრივი და დისკრიმინაციული ელემენტების გამოყენებაზე, სიძულვილის ენისა და ოპონენტთა წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისა და დისკრედიტაციის კამპანიების წარმართვაზე. (Georgia N. , 2020)

2020 წლის პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსი საკმაოდ კარგად გაწერილი, სწორი აქცენტებით შექმნილი დოკუმენტია, რომელიც ეხება არამხოლოდ პოლიტიკური სუბიექტების ქცევის რეგულირებას, ასვე ხაზს უსვამს ამომრჩეველთა უფლებებსა და კოდექსის მუხლების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას პარტიის წევრებს, აქტივისტებსა და მხარდამჭერებს შორის. მასზე ხელის მოწერით პოლიტიკური პარტიებმა ნებაყოფლობით აიღეს ვალდებულება ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, არც ერთ პარტიას არ შეუქმნია მონიტორინგისა და თვითრეგულირების მექანიზმები, რომელიც პარტიის შიგნით უზრუნველყოფდა ეთიკის ნორმების აღსრულებას. ქცევის კოდექსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება პარტიების რიგით წევრებთან და აქტივისტებთან ყველაზე მცირე ინტესივობით მიმდინარეობდა. ამასთან დოკუმენტი ეგზავნებოდათ პარტიათა რეგიონულ წარმომადგენლობას, თუმცა მისი ვერბალური შინაარსობრივი განხილვა და დეტალების შესახებ დისკუსიები არ მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიები კოდექსს ძირითადად განიხილავდნენ ეთიკისა და მორალის ჭრილში და შესაბამისად, მათი მხრიდან დოკუმენტის პუნქტების აღსრულების ვალდებულება და აუცილებლობა სათანადოდ ვერ ანალიზდებოდა. (ინსტიტუტი, 2020)

> *სამწუხაროდ, ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ცენტრი რეგიონს სპეციალურად ამ საკითხს არ აცნობს. ბოლოს როცა პარტიები ეთიკის კოდექსზე საუბრობდნენ იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. თუმცა, ისიც დაირღვა. ამ კოდექსის შესახებ რეგიონებმა ტელევიზიით შევიტყვეთ.* (რესპოდენტი #4. 13.06.2022)

პოლიტიკური დაძაბულობისა და პოლარიზაციის, აგრეთვე ქვეყანაში არსებული ეკონომიკური თუ სოციალური გამოწვევების ფონზე, საარჩევნო გარემოს თანასწორობისა და ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფას შესაძლებელს ხდის ქცევის ეთიკის კოდექსი. თუმცა, პოლიტიკური სუბიექტებისთვის კოდექსის პრინციპების აღსრულება არ წარმოადგენდა პრიორიტეტს. მართალია ეთიკის პრინციპებს სამართლებრივი ვალდებულებითი ხასიათი არ გააჩნია და მისი შეუსრულებლობა კანონმდებლობით არ ითვალისწინებს სადამსჯელო ღონისძიებებს, მაგრამ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის ეთიკის კოდექსის არსებობა და მისი პრაქტიკაში კეთილსინდისიერად გამოყენება არსებითად მნიშვნელოვანია.

3.2 ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, როგორც არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მექანიზმი

საქართველოში დემოკრატიული, სამართლიანი, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წლებიდან. როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად წერენ საარჩევნო კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების შესახებ, რაც თავისთავად ხელს უშლის არჩევნების სამართლიანობისა და საარჩევნო გარემოს თანასწორობას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. გასულ წლების მსგავსად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდშიც არჩევნების მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად ქვეყანაში მოქმედი სადამკვირვებლო მისიები ხაზს უსვამდნენ კანონმდებლობისა და ეთიკის კოდექსის ისეთი პუნქტების დარღვევის შემთხვევებს, რომელიც გავლენას ახდენდა ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლენაზე და არჩევნების შედეგებზე. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ მმართველი პარტიის ხელთ არსებული სახელმწიფო და ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის პრაქტიკა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირდა ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები. როგორც სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებშია ნახსენები, მმართველი პარტიის მიერ წარდგენილი საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობა ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ღონისძიებებზე და ამ შეხვედრების საარჩევნო მიზნებისთვის და კამპანიისთის გამოყენება გარკვეულწილად ტენდენციურ ხასიათს ატარებდა. მაშინ როდესაც როგორც საარჩევნო ასევე ეთიკის კოდექსი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული მატერიალური რესურსის კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ ან თუნდაც საწინააღმდეგოდ გამოყენება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება არჩევნების დემოკრატიულობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მმართველი პარტიის მხრიდან საჯარო მოხელეების ჩართვა მათი კანდიდატების სასარგებლო ღონისძიებებში, რომელიც უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა მობილიზაციასა და „ქართული ოცნებისთვის“ უშუალოდ არჩევნების დღეს გარანტირებული ხმების მიღებას. აღსანიშნავია ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა მივლინება რეგიონებში ე.წ საგანგებო დავალებით, რაც არაერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის შეფასებით, მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესებსა და საბოლოო შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას ხელისუფლების მხრიდან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფდა გავრცელებული ინფორმაციის ავთენტურობას და შესაბამისად, სამართლებრივი რეაგირება არ მოუხდენია.

წინასაარჩევნო პერიოდში ასევე გავრცელდა ინფორმაცია ორი ქალი პოლიტიკოსის მიმართ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება-გასაჯაროების მუქარების შესახებ, რაც ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ კანონს. აგრეთვე აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით მძიმე პირობებში აყენებს ქალ კანდიდატებს და ხელს უშლის ქალთა ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020)

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შენარჩუნებული იყო საჯარო პირების საარჩევნო აგიტაციაში ჩართულობის პრაქტიკა. როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებშია ასახული, საჯარო მოხელეებსა ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს ზემდგომი პირებისგან ევალებოდათ მმართველი პარტიის მხარდამჭერთა სიების წარდგენა. ასევე სოციალური ქსელების პირად გვერდებზე საჯარო მოხელეები აქტიურად ეწეოდნენ აგიტაციას. ამ კუთხით საარჩევნო კანონმდებლობაში კვლავ არსებობდა გარკვეული გარღვევები, რადგან წინასაარჩევნო პერიოდში სოციალური მედია-პლატფორმების მეშვეობით განხორციელებული აგიტაციის შემთხვევები არ აღიქმებოდა, როგორც კანონდარღვევად და ცენტრალური საარჩევნო კომისია აღნიშნულ პრაქტიკას არ მიიჩნევდა რეგულირების სფეროდ. მაშინ როდესაც საარჩევნო კოდექსის თანახმად აგიტაციად მიიჩნევა არამხოლოდ ამომრჩეველთა პირდაპირი მოწოდება კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ქმედების განხორციელება, არამედ ნებისმიერი საჯარო ქმედება რომელიც ხელს უწყობს ან უშლის მის არჩევას. (საქართველო., 2020) როგორც 2018 წელს, ასევე 2020 წელს სადამკვირვებლო მისიები ითხოვდნენ კანონმდებლობით კონკრეტულად სოციალურ ქსელებში წარმოებული საარჩევნო აგიტაციის დარეგულირებას, რაც კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა.

საარჩევნო კამპანიების COVID-19-ის პანდემიის ფონზე წარმართვა გარკვეულწილად მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა პოლიტიკური სუბიექტებისთვის. შეიცვალა არამხოლოდ კამპანიის ტრადიციულ რეჟიმში ჩატარების პრაქტიკა, არამედ გაჩნდა ამომრჩეველზე ზეწოლის ახალი და ეფექტური მეთოდები. კერძოდ, კოვიდ რეგულაციების მიერ დაზარებული მოქალაქეებისთვის შემუშავებული პროგრამები იმგვარად იყო წარმოდგენილი, რომ სოციალური დახმარება ორგანიზებული და უზრუნველყოფილი იყო უშუალოდ „ქართული ოცნების“ მიერ. წინასაარჩევნო პერიოდში ფართომასშტაბიანი პროექტები წარმოდგენილი იყო როგორც „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერების პირადი დამსახურება. (Georgia N. , 2020) ამასთან, საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე ერთი დღით ადრე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადება, რომ მოქალაქეებს 2009 წლის

შემდეგ გორის სამხედრო ჰოსპიტალის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულებები ჩამოეწერებოდათ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შეფასებული იყო, როგორც ამომრჩეველთა ნებით სავარაუდოდ მანიპულირების მცდელობა, რაც მიიჩნეოდა წინასაარჩევნოდ ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევად. (ასოციაცია, 2020) აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ 2018 წლის მსგავსად სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისგან მკვეთრად კვლავ არ იყო გამიჯნული. ხელისუფლების მხრიდან მსგავსი ნაბიჯების გადადგმა ამომრჩეველთა ნებით მანიპულაციის მცდელობაა, რომელიც ზემოქმედებს ელექტორატის დამოკიდებულებებზე საარჩევნო სუბიექტების მიმართ და უპირობო უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მმართველ პარტიას.

ყურადსაღებია, რომ გასული საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად საპარლამენტო არჩევნების პერიოდშიც გამოიკვეთა საჯარო მოხელეების სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნისა და მიკუთვნებულობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების მუქარა და შემთხვევებიც. 2018 წლის შემდეგ მმართველი პარტიის ხელწერა აღსრულებით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კუთხით, და არამხოლოდ, არ შეცვლილა. დაზარებული პირები ერიდებოდნენ ვინაობის გამჟღავნებას და სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლებს უცხადებდნენ, რომ ჰქონდათ საფუძვლიანი შიშები, რომ თავადაც და მათი ახლობლებიც სამსახურიდან გათავისუფლების რეალური საფრთხის ქვეშ იყვნენ. მოცემული ფაქტები წარმოადგენს საარჩევნო მიზნების მისაღწევად პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნის შემთხვევებს, რაც აკრძალულია როგორც საარჩევნო კანონმდებლობით, ასევე პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსითაც, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს ადმინისტრაციული რესურსის ნებისმიერი სახის გამოყენებას. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020)

იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 30 ივნისს შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია, რომლის საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს საარჩევნო კამპანიების პროცესში საჯარო

მოხელეების მხრიდან საარჩევნო კოდექსის დარღვევის ფაქტების აღკვეთა. კომისიამ სამი არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია გამოსცა, რომლითაც საჯარო მოხელეებს მოუწოდა სახელმწიფო რესურსებისა თუ მათი ოფიციალური თანამდებობების ბოროტად გამოყენებისგან თავის შეკავებისკენ. კომისიას სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულმა ჯგუფებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ კომისია პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი არ იყო და პარტიულ მიკუთვნებულობასაც ამჟღავნებდა. ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებით გამოყენების მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას ესაჭიროება სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა. ((OSCE/ODIHR), 2021) უწყებათაშორის კომისიას არ გააჩნია რეალური სამართლებრივი ბერკეტები, მისი რეკომენდაციები არასავალდებულო სახისაა, მაშინ როდესაც საარჩევნო პროცესების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა კანონმდებლობისა და ეთიკის კოდექსის აღსრულებისა და შემდგომ მონიტორინგის მექანიზმები. მაშინ როდესაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი, ასევე ეუთოსა და ვენეციის კომისიის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტის: „საარჩევნო პროცესების დროს ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების აღკვეთისა და მათზე რეაგირების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით საარჩევნო კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ეფექტურ მექანიზმებს, რომელთა გავლენითაც ხელისუფლებას არ ექნება შესაძლებლობა სახელმწიფო რესურსები და თანამდებობრივი მდგომარეობა არამიზნობრივად და ბოროტად გამოიყენოს კონკრეტული საარჩევნო მიზნების მისაღწევად. (OSCE/ODIHR ე. დ., 2020)

3.3 სიძულვილის ენა და პოლიტიკური დისკრედიტაციის კამპანიები ციფრულ მედია სივრცეში (2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები)

მედიის როლი პოლიტიკური საარჩევნო პროცესების წარმართვაში, პანდემიის გამო, განსაკუთრებით გაძლიერდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. სწორედ ამიტომ, პარტიების შეთანხმებულ ქცევის ეთიკის კოდექსში გამოყოფილია არაერთი პუნქტი, რომელიც უშუალოდ მიემართება პოლიტიკური სუბიექტებისა და მედია

პლატფორმების ურთიერთკავშირს. პოლიტიკური პარტიები თანხმდებიან, რომ საარჩევნო გარემოს სამართლიანობის და დეპოლარიზაციის უზრუნველსაყოფად დაუშვებელია მედიაში ცრუ ინფორმაციის გავრცელება, ე.წ „ბოტების ქსელის“ გამოყენება და უკანონოდ მოპოვებული ან/და დაუსაბუთებელი ცნობების გავრცელება. (ცესკო, 2020)

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ნათლადაა ხაზგასმული, რომ მედიასივრცეში წარმოებული კამპანიები არ უნდა ცდებოდეს კანონის ფარგლებს და ექვემდებარებოდეს საარჩევნო კანონმდებლობას და ეთიკის კოდექსს, მაინც გამოიკვეთა გარკვეული დარღვევები, რასაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა და რაც ნეგატიურ გავლენას ახდენდა საარჩევნო გარემოსა და ამომრჩევლის განწყობაზე.

პოლიტიკური პარტიები აქტიურად არღვევდნენ ეთიკის კოდექსს მედიაში, რომელთა დიდი ნაწილი წარმოადგენდა პოლიტიკოსების მხრიდან დაუსაბუთებელ განცხადებებს, ოპონენტების დისკრედიტაციის მცდელობასა და პიროვნულ შეურაცხყოფას. აღნიშნული დარღვევები მეტწილად ემსახურებოდა ამომრჩეველთა შეცდომაში შეყვანას, მათ თავისუფალ ნებასა და პარტიულ მიკუთვნებულობაზე გავლენის მოხდენის მცდელობას. მედია სივრცეში ეთიკის კოდექსის პუნქტების ხშირი და ინტენსიური დარღვევა, აგრეთვე საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული ანალიტიკური და მიმოხილვითი გადაცემებისა თუ სიუჟეტების სიმცირე ხელს უწყობდა ამომრჩეველთა პოლარიზაციას, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა მათი მხრიდან ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას. (ინსტიტუტი, 2020)

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 50 პოლიტიკური პარტია. აღნიშნულის მიუხედავად, წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემო და თავად არჩევნები ორპოლუსიანობით გამოირჩეოდა და წარმოადგენდა დაპირისპირების სივრცეს განსაკუთრებით მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის. შესაბამისად, მედიაში ეთიკის კოდექსის დარღვევის თითქმის ყველა შემთხვევა ხორციელდებოდა ან მმართველი პარტიის მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ, ან პირიქით. როგორც ანგარიშებში

ვეცნობით, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც ეთიკის კოდექსის პრინციპებს არღვევდა როგორც მმართველი პარტიის, ასევე სხვა ოპოზიციური პარტიების მიმართ. (ინსტიტუტი, 2020)

მედია საშუალებებშიც იკვეთებოდა პოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც გარკვეულწილად აისახა მათი მხრიდან პოლიტიკური პარტიებისთვის დათმობილ საეთერო დროზე, რომელიც, თანაბრად არ იყო ხელმისაწვდომი ყველა პარტიისთვის. მედიამონიტორინგის თანახმად, ის მედია საშუალებები, რომლებიც აფილირებულები იყვნენ და არიან კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან, აქტიურად აშუქებდნენ და მეტ საეთერო დროს უთმობდნენ ყველაზე მსხვილ პოლიტიკურ პარტიებს, როგორიცაა მმართველი პარტია - „ქართული ოცნება“ და მთავარი ოპოზიციური ძალა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. (Georgia N. , 2020)

იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავდათ წარმომადგენლები პარლამენტში ან რომელთაც უკანასკნელ საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში ხმების 3% მიიღეს, ფასიანი პოლიტიკური რეკლამებისთვის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება და ასევე საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო მედია საშუალებებში უფასო საეთერო დრო გამოეყოთ. ის მცირე პოლიტიკური პარტიები, რომელთაც არ მიუღიათ დაფინანსება აცხადებდნენ, რომ ტელევიზიებში მათი კამპანიები და საარჩევნო პროგრამები არ ვრცელდებოდა საჭირო დოზირებით, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა. (Georgia N. , 2020)

პოლარიზებული მედია გარემო, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არჩევნების დემოკრატიულობის ჭრილში. ტელეკომპანიების მიკერძოებულობა გამოიხატებოდა არასასურველი პოლიტიკური ძალის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენით. საკითხს ის ფაქტიც ამწვავებს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ახალ ამბებს სწორედ ტელევიზიების მეშვეობით იღებს. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020)

პოლიტიკური პარტიები შერჩევით ტელევიზიებში ჩნდებოდნენ. მაგალითად, „ქართული ოცნება“ „იმედისა“ და “POSTV”-ის ეთერებში ხშირად იღებდნენ მონაწილეობას და ამომრჩეველს სწორედ აღნიშნული ტელევიზიების ეთერებიდან მიმართავდნენ. აღნიშნულ არხებზე მაქსიმალურად ხდებოდა ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაცია. მმართველი პარტია კატეგორიულად აცხადებდა უარს ისეთ ტელევიზიებში ვიზიტებზე, როგორიცაა „მთავარი არხი“, „ფორმულა“, „TV პირველი“ და „კავკასია“. პარტიამ აგრეთვე უარი განაცხადა მონაწილეობა მიიღო და ჩართულიყო „პალიტრა TV“-ის ეთერში გამართულ პოლიტიკურ დებატებში და როგორც წესი, ჩნდებოდა გადაცემების ბოლოს, ოპონენტების გარეშე. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020) აღნიშნული მონაცემების ლოგიკურად, მმართველი პარტია დადებით კონტექსტში სწორედ POSTV-ისა და „იმედის“ მიერ შუქდებოდა, რასაც POSTV- საეთერო დროის 39% დაეთმო. ყველაზე უარყოფითად „ქართულ ოცნებასა“ და მის სათავეში მყოფ ლიდერებს მოიხსენიებდნენ „მთავარი არხის“ ეთერში, რასაც არხის საეთერო დროის 77% დაეთმო. (UNDP, 2020)

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ პარტიებს, ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხოლოდ იმ ტელევიზიების ეთერებში ჩნდებოდა, რომელიც არ იყო აფილირებული მმართველ პარტიასთან. ის ყველაზე პოზიტიურად შუქდებოდა „მთავარი არხის“ მიერ (დროის 13%), ხოლო ყველაზე ნეგატიურად გააშუქა „ობიექტივმა“ (საეთერო დროის 91%). „ევროპული საქართველო“ ყველაზე ხშირად და დადებით კონტექსტში „ფორმულას“ ეთერებში ჩნდებოდა (დროის 7%), უარყოფითად - ობიექტივზე (დროის 90%). ახლად შექმნილი პარტია „ლელო საქართველოსთვის“ „ფორმულასა“ (დროის 4%) და „რუსთავი 2“-ის (დროის 8%) ყველაზე ხშირი სტუმარი იყო. ტელეკომპანია „ობიექტივი“ წარმოადგენდა „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერ პლათტორმას, სადაც აქტიურად შუქდებოდა პარტიის სასარგებლო ინფორმაცია. აგრეთვე არხის ჟურნალისტებიც გამოხატავდნენ სუბიექტურ სიმპათიებს აღნიშნული პარტიისა და მისი პოლიტიკის მიმართ. არხი ინტენსიურად ეწეოდა ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ პროპაგანდასა და სიძულვილის ენის გამოყენებას. (UNDP, 2020)

მედია სივრცეში ყველაზე მეტად ეთიკის პრინციპების დარღვევების ხვედრითი წილი მოდის „ევროპულ საქართველოზე“, რომელსაც შემდეგ მოყვება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და შემდეგ „ქართული ოცნება“. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციური პარტიები მეტწილად გაერთიანებულნი იყვნენ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, აქედან გამომდინარე დარღვევების და დისკრედიტაციის კამპანიების დაახლოებით 70% მიმართული იყო სწორედ მმართველი პარტიის წინააღმდეგ. ხოლო რაც შეეხება თავად „ქართული ოცნების“, მის მთავარ სამიზნეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენდა. „პატრიოტთა ალიანსი“ აგრესიული რიტორიკით გამოირჩეოდა ოპონენტების მიმართ, იქნებოდა ეს მმართველი პარტია თუ ოპოზიცია. აქტიურად ავრცელებდა ცილისმწამებლურ და დაუსაბუთებელ ბრალდებებს „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ მისამართით. ის ხშირად აპელირებდა ე.წ შეთქმულებაზე, რომელიც საშუალებას აძლევდა „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საკუთარი ინტერესების სასიკეთოდ ქვეყანაში შეენარჩუნებინათ პოლარიზებული პოლიტიკური გარემო. (ინსტიტუტი, 2020)

რაც შეეხება ცალკეულად პოლიტიკოსების მხრიდან ყველაზე ხშირად დარღვეულ ეთიკის პრინციპებს, როგორც აღმოჩნდა პირადი შეურაცხყოფა, ბრალდებები და ცილისმწამებლური განცხადებები საკმაოდ გავრცელებული და ხშირად განხორციელებული დარღვევებია. აღნიშნული ემსახურება არა საკუთარი პოლიტიკური პროგრამების ეფექტურობასა და რეალურობაში საზოგადოების დარწმუნებას, არამედ მხარდამჭერების მობილიზებას პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, ეთიკის პრინციპებების უგულებელყოფით, დაპირისპირებისთვის.

მიმდინარე COVID-19-ის პანდემიის ფონზე განსაკუთრებით იმატა სოციალური ქსელების როლმა წინასაარჩევნო კამპანიების ჩატარების პროცესში. ხალხმრავალი შეკრებების მარტივ ალტერნატივად გადაიქცა ონლაინ სივრცე, რომელიც ასევე ინტერაქციის სწრაფ და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. პოლიტიკური სუბიექტები სოციალური ქსელების საკუთარ გვერდებზე ათავსებდნენ ინფორმაციას

საარჩევნო პროგრამებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ, ხოლო ონლაინ ფორმატი საშუალებას აძლევდა ამომრჩეველს პირდაპირ ჩართულიყო და კომენტარის სახით დასმულ კითხვაზე სასურველი პასუხი მიეღო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ქსელებით უფრო მეტ ადამიანს მიეცა საშუალება საარჩევნო კანდიდატებთან ინტერაქციისა და საკუთარი აზრის დაფიქსირების მხრივ, ვიდრე ამას „კარდაკარის“ და ამომრჩეველთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებები იძლევა.

„სამართლიანი არჩევნების“ ანგარიშის მიხედვით, რომელიც აქტიურად ახორციელებდა მედია მონიტორინგს 2020 წლის 1 სექტემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ სოციალურ სივრცეს Facebook წარმოადგენდა. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სოციალურ სივრცეში გავრცელებული დეზინფორმაციის შემთხვევები და მადისკრედიტირებელი ინფორმაციების გავრცელება, რისთვისაც უმეტესწილად იყენებდნენ ანონიმურ ან/და ყალბ ანგარიშებს. აღნიშნული გამოიხატებოდა ცრუ და ნეგატიური კონტენტის შემცველი ინფორმაციების გავრცელებაში, რომელიც მიმართული იყო არამხოლოდ ცალკეული პოლიტიკური ლიდერების და პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ, არამედ შეიცავდა დაუზუსტებელ და დამაზიანებელ ინფორმაციაც სამოქალაქო აქტივისტების, მედია საშუალებებისა და საარჩევნო პროცესების მონიტორინგში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მისამართითაც. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020)

როგორც ცალკეული პოლიტიკოსების, ასევე პოლიტიკური პარტიების Facebook გვერდებზე ხდებოდა პოლიტიკური ოპონენტების მისამართით დამცინავი და შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ეთიკის კოდექსის პრინციპებს. დისკრედიტაციის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროპორციული სიის #1 კანდიდატი ბუბა კიკაბიძე, რომელსაც რუსული სპეცსამსახურების აგენტად მოიხსენიებდნენ და ასევე შეინიშნებოდა დამცინავი რიტორიკა მის ასაკთან დაკავშირებითაც. ირონიული ტონითაა შეფასებული

ნანუკა ჟორჟოლიანის მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებაც. ზოგადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გავრცელებულ ინფორმაციებში ხშირად იკვეთებოდა მათი „მმართველობის სისხლიანი 9 წელი“, გახმაურებული საქმეები და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის შეთხვევაც. (არჩევნები., 2020)

რაც შეეხება სხვა პარტიებს, „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე ხშირად იყო მოხსენიებული „ყოფილ უგულო ბანკირად“ და ასევე „მევახშეს“ ტერმინით. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე საარჩევნო კამპანიის დროს განხორციელებული თითქმის ყველა აქტივობის გამო გახდა დაცინვისა და ირონიული განცხადებების ადრესატი. (არჩევნები., 2020) დამაკნინებელი და უხამსი ეპითეტებითაა მოხსენიებული შალვა ნათელაშვილი. აღნიშნული გზავნილების მთავარი მიზანი იყო ლეიბორისტული პარტიის ოფისში შეკრებული ოპოზიციის ერთიანობის ყალბად წარმოჩენა და იმის აპელირება, რომ ოპოზიციას გაერთიანების რეალური შანსები და რესურსი არ გააჩნიათ. რაც გარკვეულწილად ალოგიკურიცაა და ისევ აღნიშნული გვერდების მიერვე გავრცელებულ ნარატივთან მოდის წინააღმდეგობაში, რადგანაც სოციალურ ქსელებში აქტიურად მიმდინარე ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული კამპანიები და გავრცელებული ინფორმაციები ემსახურებოდა ყველა ოპოზიციური პარტიის ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან და მის ლიდერ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებას. „ევროპული საქართველოს“ გამიჯვნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ იმთავითვე გაკიცხვისა და ქილიკის საკითხს წარმოადგენდა; აქტიურად ვრცელდებოდა მაშინდელი „თი-ბი-სი გრუპის“ ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძისა და სააკაშვილი საერთო ვიდეო, სადაც ყოფილი პრეზიდენტი ხაზარაძეს აჯილდოებს. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა იმის ჩვენება, რომ საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის სარჩულს“ ატარებს, მასთან შეთანხმებით მოქმედებს ყველა და ერთად ცდილობენ გავლენა მოახდინონ ამომრჩეველთა თავისუფალ ნებაზე და საზოგადოება განზრახ შეიყვანონ შეცდომაში. (საზოგადოება, 2020) თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკრედიტაციული გზავნილების, ირონიული რიტორიკისა და ცილისმწამებლური განცხადებების სამიზნე არ გამხდარა „პატრიოტთა ალიანსი“. (არჩევნები., 2020)

მმართველი პარტიის წინააღმდეგ სოციალურ ქსელებში წარმოებული დისკრედიტაციის კამპანიების მთავარი სამიზნე პარტიის მაშინდელი თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი თეა წულუკიანი და თბილისის მერი კახი კალაძე იყვნენ. ივანიშვილი ხშირად მოხსენიებული იყო „რუს ოლიგარქად“ და პრორუსულ პოლიტიკოსად და ასევე პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად კრემლთან კოლაბორაციაში იყო მიჩნეული. აღნიშნული იყო პარტიის მხრიდან მიგრაციის პროცესების ხელშეწყობა, რადგან მათ „საქართველო ქართველების გარეშე“ სურდათ. 2019 წლის 20 ივნისის ე.წ „გავრილოვის ღამის“ მთავარ შემოქმედათ გიორგი გახარია მოიხსენიებოდა და მას „თვალთხარიას“ ტერმინით ფართოდ და აქტიურად მოიხსენიებდნენ. პარტიის სხვა ლიდერები მოიხსენიებოდნენ „ივანიშვილის მარიონეტებად“. აქვე უნდა ვახსენოთ, რომ მაშინ როდესაც აღნიშნული გვერდების დაუფარავ და აშკარა დისკრედიტაციას ახორციელებდნენ მმართველი პარტიისა და მისი ლიდერების წინააღმდეგ, ამავდროულად შეინიშნებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის დადებით კონტექსტში წარმოჩენის მცდელობა. (საზოგადოება, 2020)

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და პოლიტიკური გარემო დეზინფორმაციის გავრცელებისა და ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის კამპანიების წარმართვის მხრივ მეტად გამორჩეული წელი იყო. საარჩევნო სუბიექტების დაკნინებასა და ცილისმწამებლური ინფორმაციების გავრცელებასთან ერთად აღსანიშნავია მანიპულაციები ე.წ. ღირებულებით საკითხებზე, როგორიცაა ევროინტეგრაცია, სექსუალური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები და საზოგადოებასთან ინტეგრაცია, გენდერული და რელიგიული თანასწორობა. აღნიშნულ საკითხებზე გავრცელებული მაპროვოცირებელი, ცრუ და სიძულვილის ენის შემცველი ინფორმაცია ხელს უწყობს ეთნიკური შუღლის გაღვივებას, აგრესიისა და ძალადობრივი ქმედებების წახალისებას, საზოგადოების დაყოფას და პოლარიზაციის კიდევ უფრო გაზრდასა და გამწვავებას. გენდერული ნიშნით თავდასხმის ობიექტები არაერთი ქალი პოლიტიკოსი გამხდარა. ოპოზიციური პარტიების წევრ ქალებთან ერთად ნეგატიურ და სექსისტურ

კონტექსტში არაერთხელ მოუხსენებიათ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და მაშინდელი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. (არჩევნები., 2020) ასევე საკმაოდ შემაშფოთებელი იყო გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ორი ქალი პოლიტიკოსის დაშანტაჟებისა და დაშინების მცდელობები ხდებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნების მუქარით. აღნიშნული ფაქტი, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება, როგორც საარჩევნო ქცევის ეთიკის კოდექსს, ასევე წინააღმდეგობაში მოდის ქართულ კანონმდებლობასთან. მსგავსი შემთხვევები რთულ ვითარებასა და მძიმე პირობებში აყენებს ქალ პოლიტიკოსებს და აფერხებს მათ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას. (Georgia, ISFED, & GYLA, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,, 2020)

მაშინ როდესაც პოლიტიკური პარტიების ქცევის ეთიკის კოდექსის ერთ-ერთ მუხლში ნათლადაა გაცხადებული, რომ პოლიტიკური სუბიექტები არათუ უარს ამბობენ ცრუ და დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელებაზე პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით, არამედ საჯაროდ დაგმობენ მედია საშუალებებისა თუ სხვა კანდიდატების მიერ გავრცელებულ ყალბ და შეურაცხმყოფელ ინფორმაციას, ამის ფონზე ცხადია, რომ პოლიტიკური სუბიექტები არათუ ეწინააღმდეგებიან არამედ ხელსაც უწყობენ ეთიკის პრინციპების შეუსაბამო ინფორმაციებით მანიპულირებას მედია სივრცეში. ამასთან, პოლიტიკური პარტიების წევრებისა და ცალკეული საარჩევნო კანდიდატების მსგავსი ქმედებები ახალისებს თავად ამომრჩევლის ქცევას პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებით. გავლენას ახდენს ელექტორატის თავისუფალი ნების გამოვლენის შესაძლებლობებზე და ქმნის მათი ემოციებითა და პოლიტიკური მიკუთვნებულობით მანიპულირების საშუალებას, რაც ცალსახად არღვევს საარჩევნო კანონმდებლობასა და ეთიკის კოდექსს. ამასთან სამომავლო პერსპექტივაში ართულებს მსგავსი მავნე პრაქტიკების აღმოფხვრის შესაძლებლობებს.

საარჩევნო პროცესების სამართლიანობასა და დემოკრატიულობის ხარისხს დიდ ზიანს აყენებს მედია სივრცეში წარმართული დისკრედიტაციის კამპანიები, დეზინფორმაციის გავრცელება და სიძულვილის ენის გამოყენება. აღნიშნული მავნე პრაქტიკა ხელს უშლის

ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებს და აზარალებს მის საერთაშორისო იმიჯს. ქართული მედია არ არის აბსოლუტურად თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისგან, შედეგად საარჩევნო პროცესების ობიექტურად და მიუკერძოებლად გაშუქება ნაკლებად ხდება. სოციალური სივრცე განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლო წლებში, თუმცა მასაც ახასიათებს პარტიული მიკუთვნებულობის ნიშნები. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია არ იფილტრება და მისი წყარო ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანი შეიძლება გახდეს. აღნიშნული პრაქტიკა აზარალებს სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა-გაძლიერების პროცესს და აგრეთვე ამარტივებს საზოგადოების პოლიტიკური გემოვნებითა და მისი თავისუფალი ნებით მანიპულაციის შესაძლებლობებს.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომს გააჩნდა ძალიან კონკრეტული მიზნები, რის მისაღწევადაც, განხორციელდა პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებისა და პრინციპების, ასევე, საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ანგარიშების, სამეცნიერო სტატიების და კვლევების სიღრმისეული ანალიზი. კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიების წევრები, ექსპერტები, რომელიც კომპეტენტურები არიან და საკითხის შესახებ ფლობენ რელევანტურ ინფორმაციას. ასევე იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელიც წინასაარჩევნო პროცესებისა და პოლიტიკური გარემოს მონიტორინგს ახორციელებენ.

კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ შეთანხმებული დოკუმენტის პუნქტები ირღვევა იმდენად, რამდენადაც, ეს კოდექსი პოლიტიკური პარტიებისთვის წარმოადგენს არა წინასაარჩევნო გარემოს ჰარმონიზაციის და პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირების საშუალებას, არამედ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, მათთვის თავის მოჩვენებას, რომ ამ გზით ცდილობენ წინასაარჩევნო გარემოს ჰარმონიზაციასა და პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებას. ამას ისიც ადასტურებს, რომ ეთიკის კოდექსის ნორმებისა და პრინციპების შესახებ ინფორმაციას, პოლიტიკური პარტიების მხოლოდ ელიტური ჯგუფი ფლობს და არ თვლიან საჭიროდ ამ ინფორმაციის რიგითი წევრებისა და აქტივისტებისთვის გაზიარებას.

როგორც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ასევე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსების შემუშავების ინიციატორები იყვნენ საერთაშორისო არასამთვრობო ორგანიზაციები, ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორები და საარჩევნო ადმინისტრაცია. საარჩევნო მონიტორინგის ანგარიშების ანალიზმა ცხადყო, რომ კოდექსის შემუშავება პარტიებისთვის წარმოადგენდა უმნიშვნელო ფორმალობას, რათა არ გაენაწყენებინათ ფასილიტატორები და მათ რეალურად არ გააჩნდათ არც სურვილი და არც არანაირი მზაობა, როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რომ ეთიკისა და მორალის

ჩარჩოებში მოაქციათ საკუთარი საარჩევნო ქცევა და წინასაარჩევნო კამპანია ეწარმოებინათ გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, პოლიტიკური პარტიების მიერ, ერთიან, შეთანხმებულ დოკუმენტზე ხელის მოწერა არ მომხდარა, როგორც მედიაციის პროცესში ჩართული რესპოდენტი აღნიშნავდა, არსებობდა ორი დოკუმენტი, რომელზეც ერთმანეთსგან დამოუკიდებლად მოაწერეს ხელი მმართელმა პარტიამ და ოპოზიციურმა პარტიებმა. აღნიშნული პოლიტიკურ სუბიექტებს შორის კომუნიკაციისა და ერთმანეთის მიმართ ნდობის არ არსებობაზე მიუთითებს, რაც კიდეც უფრო აღრმავებს პოლარიზაციას.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ კოდექსის შემუშავებისა და მის ნომრებზე შეთანხმების ინიციატორები. პარტიათა ქცევის ეთიკის ნორმების შემუშავების არსებული მცდელობები განხორციელდა დაინტერსებული მხარეების ჩართლობით და არა პოლიტიკური პარტიების ინიციატივით. ვინაიდან ეს დოკუმენტი არ ასახავდა, პოლიტიკური პარტიების ნამდვილ ნებას, მეტიც, მათი აღსრულება უზღუდავდათ შესაძლებლობას წინასაარჩევნო პერიოდში გამოეყენებინათ მანიპულაციის ის საშუალებები, რომლითაც არჩევნებში სასურველ შედეგს მიიღებდნენ და ვინაიდან ამ ნორმების აღსრულება სავალდებულო ხასიათს არ ატარებდა, პოლიტიკური პარტიების მიერ ეთიკის კოდექსის ხელმოწერა, მხოლოდ არჩევნებში ჩართული მხარეების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საჭირო ფორმალობას წარმოადგენდა.

უცხოური პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებში, პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსი წარმოადგენს, პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო გარემოს სტაბილურობის, საზოგადოებაში ნდობის მაჩვენებლის გაზრდის და ერთმანეთთან კონკურენციაში გარკვეული წესრიგის შექმნის ღირებულ გარანტს. მნიშვნელოვანია, პოლიტიკური პარტიებმა გაიზიარონ, საერთაშორისო გამოცდილება, პირნათლად შეასრულონ კოდექსის ნორმები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს პოლიტიკურ პოლარიზაციას და ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

(OSCE/ODIHR), ე. დ. (2021). *2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები.* ვარშავა.

Georgia, N. (2020). *ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ.* თბილისი.

Georgia, T. I. (2018). *ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.* თბილისი.

Georgia, T. I., ISFED, & GYLA. (2020). 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,. თბილისი.

Georgia., T. I. (2018). *ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის-შუალედური ანგარიში.* თბილისი.

Goodwin-Gill, G. S. (1998). *Codes of Conduct for Elections.* Geneva.

IDEA., I. (1999). *Code of Conduct for Political Parties: Campaigning in Democratic Elections.*

International IDEA. (2017). *Dialogues for Voluntary Codes of Conduct for Political Parties in Elections.*

ISFED. (2019). *ალტერნატიული რეალობის შექმნის მცდელობა საქართველოში: ცრუ მედია გვერდები Facebook-ზე.* თბილისი.

NDI, G. (2018). *ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის სადამკვირვებლო მისიის განცხადება საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით.* თბილისი.

OSCE/ODIHR. (2018). *მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ.* თბილისი.

OSCE/ODIHR, ე. დ. (2020). *მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ (საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერი).*

Thomas, D. P. (2014). *A Code of Ethics or Code of Conduct for Political Parties as a Potential Tool to Strengthen Electoral Democracy in Canada: A Discussion Paper on the Advantages abd Disadvantages of a Code.*

UNDP. (2020). *საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა.*

არჩევნები., ს. (2020). *სოციალური მედიის მონიტორინგი - მეორე შუალედური ანგარიში.* თბილისი.

ასოციაცია, ს. ა. (2020, 09 03). Retrieved from gyla.ge

გამჭვირვალობა-საქართველო, ს. (2018). *სიძულვილის ენა და პოლარიზაცია წინასაარჩევნო პერიოდში.* თბილისი.

ზედგინიძე, ნ. (2017). საქართველო: პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობანი წინასაარჩევნო პერიოდებში (2012 და 2016 წლებში). *Politics/პოლიტიკა.*

ინსტიტუტი, ს. პ. (2020). *პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის აღსრულების მონიტორინგი საქართველოში.*

კომისია, უ. (2020). *თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის საბოლოო ანგარიში.* თბილისი.

მელაძე, ლ. (2020). *საარჩევნო კამპანიის წარმოების ეთიკური წესები, გამოცდილება და კარგი პრაქტიკა.*

მჭედლიშვილი, ნ. (2018, 10 06). "ეთიკის პრინციპები" პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის. თბილისი, საქართველო.

პარლამენტი, ს. (2011, 12 27). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* Retrieved from matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/

საზოგადოება, ს. ა. (2020). *სოციალური მედიის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში - 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.* თბილისი.

საზოგადოება., ს. ა. (2018). *სოციალური მედიის მონიტორინგი-პირველი შუალედური ანგარიში.* თბილისი.

საია, საქართელო, ს. გ., & ISFED. (2018). *2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება.* თბილისი.

საქართველო, ე. დ. (2021). *2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საბოლოო ანგარიში.*

საქართველო., ს. გ. (2020). *ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართელოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - შუალედური ანგარიში.*

საქართველოში, ე. დ. (2018). *საპრეზიდენტო არჩევნების შუალედური ანგარიში.*

ქოქოშვილი, დ. (2018, 09 11). Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/303636/

ცესკო. (2020). *პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის.* თბილისი.

ცესკო. (2018). *2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ეთიკის პრინციპები*

დანართი

ინტერვიუს გზამკვლევი

1. რა მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ პარტიათა ქცევის ეთიკის კოდექსის აღსრულებას საარჩევნო პროცესების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ წარმართვის კუთხით?
2. რამდენად იცნობენ პარტიების წარმომადგენლები, აქტივისტები და პარტიის ელექტორატი ქცევის კოდექსის შინაარსობრივ მხარეს?
3. როგორია კომუნიკაცია პარტიების რეგიონალურ წარმომადგენლობებთან ეთიკის კოდექსის გაცნობის კუთხით და რა სახის ღონისძიებები ტარდება ინფორმურებულობის გაზრდის მიზნით?
4. რა არის მიზეზი პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ეთიკის შეთანხმებული დოკუმენტის პუნქტების დარღვევის შემთხვევებში?
5. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს პოლიტიკური პარტიების მხრიდან ეთიკის კოდექსის ნორმების აღსრულების მიზნით?
6. რა სირთულეებთანაა დაკავშირებული სოციალურ მედიაში წარმოებული საარჩევნო კამპანიების მონიტორინგი ეთიკის კოდექსის პუნქტებისა და საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულების კუთხით?
7. რამდენად რისკებთანაა დაკავშირებული სოციალურ ქსელებში წარმოებული საარჩევნო კამპანიების გავლენა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და საარჩევნო სუბიექტების მიმართ ამომრჩევლის დამოკიდებულებების მართვის კუთხით?
8. როგორია პროგრესი 2012 წლის შემდეგ საარჩევნო ეთიკური კოდექსების აღსრულების მხრივ და მეტწილად რა კუთხით იკვეთება ცვლილებები (დადებითიც და უარყოფითიც)?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Magda Shushtakashvili

Efforts to Develop Electoral Code of Ethics in Georgia (2018 Presidental and 2020 Parliamentary Elections)

Master Program of Political Science

Master Thesis is Written to Obtain the Academic Degree of Master of Political Science

Supervisor of the master thesis

Malkhaz Matsaberidze

Professor

Tbilisi

2022